პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 176 (12688)
კვირა, 28 ივლისი, 1963 წ.
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულნი უფროსი მატროსი ა. მალახოვი და მატროსი ვ. იურჩენკო სსრ კავშირის სამხრეთ საზღვაო საზღვრების სადარაჯოზე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მიკუთვნების შესახებ ჩაის ფოთლის წარმოებასა და დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, რაც მოპოვებულია 1963 წლის პირველ ნახევარში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინეს:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პირველ ჯგუფში მიეკუთვნოს მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს, რომელმაც 1963 წლის პირველ ნახევარში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებასა და დამზადებაში.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების ნახევარი წლის გეგმა საწარმოო სამმართველოში შესრულებულია 108 პროცენტით; აქედან მთელი მოკრეფილი ფოთლის 73,4 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

წლის პირველ ნახევარში ჩაის ფოთლის მოსავლიანობამ ჰექტარზე საშუალოდ 2.098 კილოგრამი შეადგინა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა მეორე ჯგუფში მიეკუთვნოს წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს, რომელმაც 1963 წლის პირველ ნახევარში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ჩაის ფოთლის წარმოებასა და დამზადებაში.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა საწარმოო სამმართველოში შესრულებულია 117,2 პროცენტით, აქედან მთელი მოკრეფილი ფოთლის 75,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

1963 წლის პირველ ნახევარში ჩაის ფოთლის მოსავლიანობამ ჰექტარზე საშუალოდ შეადგინა 1820 კილოგრამი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ აღნიშნეს ჩაქვის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას საწარმოო სამმართველოთა კარგი მუშაობა ჩაის ფოთლის დამზადებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნების შესახებ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტთა მიყიდვის საქმეში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინეს:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნოს გარდაბნის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს, რომელმაც 1963 წლის მეორე კვარტალში მოიპოვა საუკეთესო მაჩვენებლები მეცხოველეობის პროდუქტთა დამზადებაში და ამავე დროს გაადიდა ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობა.

მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულმა ტრესტმა 1963 წლის მეორე კვარტალში ხორცის დამზადების გეგმა შეასრულა 155,5 პროცენტით, რძისა — 94,7 პროცენტით (ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102,1 პროცენტით), კვერცხისა — 124,7 პროცენტით, მატყლისა — 114,6 პროცენტით.

ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობამ 1963 წლის 1 ივლისისათვის 1963 წლის 1 იანვართან შედარებით შეადგინა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 105,7 პროცენტი, აქედან ძროხა — 100 პროცენტი, ცხვარი და თხა — 137,8 პროცენტი, ფრინველი — 122 პროცენტი, აქედან კვერცხისმდებელი ქათამი — 115 პროცენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ აღნიშნეს ყვარლის, წყალტუბოს, ზესტაფონის, საჩხერის, მაიაკოვსკისა და ცხაკაიას საწარმოო სამმართველოთა კარგი მუშაობა მეცხოველეობის პროდუქტთა დამზადებაში. (საქდესი).

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მთავრობათა მეთაურების თათბირმა მუშაობა დაამთავრა

1963 წლის 26 ივლისს მუშაობა დაამთავრა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მთავრობათა მეთაურების თათბირმა.

თათბირმა მიიღო კომუნიკე, რომელიც გამოქვეყნდება.

გადაწყვეტილება

ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მთავრობათა მეთაურების თათბირისა

მოისმინა რა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. გრომიკოს ცნობა სსრ კავშირის მთავრობის მოლაპარაკების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებთან ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე, ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მთავრობათა მეთაურების თათბირი იწონებს ამ მოლაპარაკების შედეგებს, რასაც მოჰყვა შეთანხმება ხელშეკრულებისა, რომ აიკრძალოს ატომური იარაღის აფეთქებანი სამ სფეროში — კოსმოსში, ატმოსფეროში და წყალქვეშ.

ატომური იარაღის საკითხზე შეთანხმების მიღწევა საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული საგარეოპოლიტიკური კურსის შედეგია, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის წარმატებაა.

თათბირს მიაჩნია, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და დადებითი ფაქტორი იქნება ხალხთა ბრძოლაში მშვიდობისათვის და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ.

(მიღებულია 1963 წლის 25 ივლისს).

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის შესახებ

1963 წლის 26 ივლისს მოსკოვში გაიმართა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა.

28 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1963 წლის 28 ივლისი № 179 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო, ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

ამხანაგო გემთსაშენებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები დღესასწაულობენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

ჩვენი ქვეყნის ხალხები ამ დღესასწაულს აღნიშნავენ დიად საგმირო საქმეთა შესანიშნავ დროში. ქალაქისა და სოფლის მშრომელები მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმაგალითო ენთუზიაზმით ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას, აშენებენ მრეწველობის სულ ახალ და ახალ გიგანტებს, ადიდებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, კოსმოსის ათვისებაში, აგებენ კომუნიზმის დიდებულ შენობას.

საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ იბრძვის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ომის თავიდან აცილებისათვის. ჩვენი მთავრობა აყენებდა კონკრეტულ წინადადებებს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, საყოველთაო და სრული განიარაღება, ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა, უცხოეთის ჯარების გაყვანა სხვათა ტერიტორიებიდან, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება და სხვა გადაუჭრელი საკითხები. მაგრამ იმპერიალისტური სამყარო ყოველნაირად ხელს უშლის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, განაგრძობს გამალებულ შეიარაღებას, აგრესიისა და საერთაშორისო პროვოკაციების პოლიტიკას.

ამ პირობებში პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობა, იყოლიონ მისი შეიარაღებული ძალები მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა დონეზე.

საბჭოთა მეომრების წმიდათა წმიდა მოვალეობაა ყოველდღიურად გაადიდონ სიფხიზლე და ხომალდებისა და ნაწილების საბრძოლო მზადყოფნა, სრულყონ თავიანთი საბრძოლო ოსტატობა და პოლიტიკური ცოდნა, მუდამ მზად იყვნენ გაანადგურონ ყოველი აგრესორი.

მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

ვუსურვებ სამხედრო მეზღვაურებს შემდგომ წარმატებებს საბრძოლო ტექნიკის, იარაღის დაუფლებაში, იდეურ-პოლიტიკურ მომზადებაში, მხედრული დისციპლინის განმტკიცებაში, ხომალდებისა და ნაწილების საბრძოლო მზადყოფნის გადიდებაში.

ვუსურვებ გემთსაშენებელი მრეწველობის ყველა მუშასა და მოსამსახურეს ახალ მიღწევებს პირველი კლასის ხომალდების შექმნაში საბჭოთა ფლოტისათვის.

დღესასწაულის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 1963 წლის 28 ივლისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში, აგრეთვე ფლოტებსა და ფლოტილიებში მიცემულ იქნეს სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი **რ. მალინოვსკი.**

კომუნიკე

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივანთა და ამ ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირის შესახებ

1963 წლის 24-26 ივლისს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივანთა და ამ ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველმა მდივნებმა და მთავრობათა მეთაურებმა.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მუშაობა გაწეული ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1962 წლის ივნისის თათბირის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და საკითხი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ.

ცხოვრება სავსებით ადასტურებს ივნისის თათბირის მიერ გამოტანილი იმ დასკვნის სისწორეს, რომ „სოციალისტური მშენებლობის ობიექტური კანონზომიერებანი, სოციალიზმის ქვეყნების საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება, ამ ქვეყნების ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების ერთობა განაპირობებენ ცალკეულ ეროვნულ მეურნეობათა სულ უფრო მეტ დაახლოებას".

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ სწორია ივნისის თათბირის მიერ მოწონებული „ძირითადი პრინციპები შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილებისა".

თათბირზე ერთსულოვნად აღინიშნა, რომ იმ მუშაობის შედეგად, რომელიც ეკონომიურ ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ხორციელდება, გადაიდგა ნაბიჯი 1962 წლის ივნისში გათვალისწინებული ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებისა და განმტკიცების გრძელვადიანი პროგრამის განსახორციელებლად. სოციალისტური ქვეყნების სამეურნეო თანამშრომლობა, რომელიც ვითარდება თანასწორუფლებიანობის პრინციპების, სუვერენიტეტის განუხრელი დაცვის, ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და სარგებლიანობის საფუძველზე, ხელს უწყობს იმას, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა იღებს ახალ მიჯნებს თავისი ეკონომიური ძლიერების განმტკიცებაში, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაში, კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

სოციალისტურ ქვეყნებს მტკიცედ უპყრიათ პირველობა ეკონომიკის ზრდის ტემპით. 1962 წელს სამრეწველო წარმოება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში წინა წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 9 პროცენტით, მაშინ როცა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში — 4 პროცენტით. წარმოების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზრდა მიღწეულია მრეწველობის ბევრი გადამწყვეტი სახეობის პროდუქციის გამოშვების მხრივ. მაგალითად, ელექტროენერგიის წარმოება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში წლის განმავლობაში 11,4 პროცენტით გაიზარდა, ნავთობისა — 11,5 პროცენტით, ცემენტისა — 19,2 პროცენტით, პლასტმასისა და სინთეზური ფისებისა — 20,7 პროცენტით, აზოტოვანი სასუქებისა — 15,3 პროცენტით. გაფართოვდა ტექნიკის, მინერალური სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის. გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის, განსაკუთრებით კი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო მოხმარების საგნების გამოშვება. მრეწველობის პროდუქციის ზრდის დიდი წილი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

მაშინ, როცა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა ავლენს თავის უდიდეს შესაძლებლობებსა და უპირატესობებს და მტკიცედ და გეგმაზომიერად განაგრძობს განვითარებას, კაპიტალისტური სისტემის განვითარება ხასიათდება მერყეობით, მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობათა გამწვავებით.

თათბირმა აღნიშნა, რომ შარშან ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა, წარმატებით ხორციელდებოდა ადრე დადებული შეთანხმებანი თანამშრომლობის სხვადასხვა დარგში, როგორც, მაგალითად, სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის — ქიმიური მრეწველობის განვითარებაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთს შორის — მურა ნახშირის მოპოვების განვითარებაში, რუმინეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და პოლონეთს შორის — ცელულოზის კომბინატის ერთობლივ მშენებლობაში. ეს თანამშრომლობა შემდგომ განვითარდა 1962 წლის ივნისის თათბირის შემდეგ. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის დადებულია შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ თიხა-მიწისა და ალუმინის წარმოების დარგში; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის — თანამშრომლობის შესახებ კალიუმიანი სასუქების წარმოებაში; ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის — დუნაიზე ელექტროსადგურის დაპროექტებაში; ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის — დუნაიზე ელექტროსადგურის მშენებლობაში; სსრ კავშირსა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ მეტ წილ ქვეყნებს შორის — თანამშრომლობის შესახებ კინგისეპის ფოსფორიტის მადაროს მშენებლობაში. მიღებულია გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ განხორციელდეს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის გორვის საკისრების წარმოებისა და განაწილების, სატვირთო ვაგონების საერთო პარკის შექმნის დარგში, სავალუტო-საფინანსო და საბანკო მუშაობის დარგში. შეიქმნა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ინსტიტუტი. მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ენერგოსისტემების ცენტრალურმა სადისპეტჩერო სამმართველომ.

ვადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ ნავთობსადენ „მეგობრობის" უბნები ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ტერიტორიაზე. ადრე გაერთიანებულ უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ენერგოსისტემებს შეუერთდა დასავლეთ უკრაინის ენერგოსისტემა და დაიწყო ელექტროენერგიის მიწოდება სსრ კავშირიდან უნგრეთში.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანოებმა შეადგინეს ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის წინასწარი გაანგარიშებანი 1980 წლამდე პერიოდისათვის, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა იმ პრობლემათა გამოვლინება, რომელთა გადასაჭრელად საჭიროა შემდგომი საერთო ღონისძიებები.

1962 წელს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ურთიერთვაჭრობის მოცულობა 1961 წელთან შედარებით 14 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა მათი საგარეო ვაჭრობის საერთო ზრდამ 10 პროცენტი შეადგინა. ამავე დროს მანქანებისა და მოწყობილობის ურთიერთმიწოდება გაიზარდა 21 პროცენტით, რაც მოწმობს, რომ ღრმავდება შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება მანქანათმშენებლობის დარგში.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები, რომელთაც საერთაშორისო ვაჭრობა მიაჩნიათ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაფართოების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პირობად, კვლავ წარმატებით განავითარებდნენ თავიანთ ეკონომიურ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მოცულობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან 1962 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 9 პროცენტით, აქედან — ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან — 19 პროცენტით.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური კავშირურთიერთობის გაფართოება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან შეესაბამება ამ სახელმწიფოების ხალხთა მისწრაფებას — განავითარონ თავიანთი ეროვნული ეკონომიკა და განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხელს უწყობს სოციალისტური ქვეყნების ვაჭრობის ზრდას იმ ხალხთა შორის, რომლებიც კოლონიური ჩაგვრისაგან თავისუფლდებიან.

დისკრიმინაცია ვაჭრობის დარგში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და მათი ნატოელი მოკავშირენი ახორციელებენ, აფერხებს ეკონომიური კავშირურთიერთობის განვითარებას ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო სავაჭრო და ეკონომიური კავშირურთიერთობის გაფართოებას და მოითხოვენ მოწვეულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე. ამ კონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა იყოს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა, რომელშიც სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოდგენილი იქნებოდა მსოფლიოს ყველა რაიონი და ქვეყანა.

თათბირის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანოების ორგანიზაციული გარდაქმნა, რომელიც 1962 წლის ივნისის თათბირის გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელდა. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შექმნამ და სისტემატურმა მუშაობამ ხელი შეუწყეს იმას, რომ ამაღლდა როლი საბჭოსი, როგორც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ერთობლივი საქმიანობის კოლექტიური ორგანიზატორისა გეგმების კოორდინაციის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების დარგში.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირებისათვის, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობისა და შავი მეტალურგიის დარგში.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებს შორის ხორციელდება ორმხრივი კონსულტაციები იმ მიზნით, რომ წინასწარ შეათანხმონ თავიანთი მოსაზრებანი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ეკონომიური კავშირურთიერთობის განსავითარებლად ხანგრძლივი პერსპექტივებისათვის, რაც საუკეთესო წინამძღვრებს ქმნის გეგმების მრავალმხრივი კოორდინაციისათვის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

იმის შესაბამისად, რომ პერსპექტიული სამეურნეო გეგმების კოორდინაცია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის ძირითადი მეთოდია, თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანა უახლოესი პერიოდისათვის ის არის, რომ მოამზადონ და პრაქტიკულად განახორციელონ 1966-1970 წლების გეგმების კოორდინაცია, გააფართოონ ამის საფუძველზე წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება. ამასთან მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების საკვანძო საკითხებსა და მიმართულებებს, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მზარდ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას ნავთობზე, ელექტროენერგიაზე, ნედლეულზე, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ელექტრონიკისა და სახალხო მეურნეობის სხვა ყველაზე პროგრესული დარგების განვითარებას.

თათბირმა აღნიშნა, რომ ამ მუშაობის განხორციელების დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს წარმოების ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური ზრდა, ნაკეთობათა ხარისხის განუხრელი გაუმჯობესება და ტექნიკური დონის ამაღლება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და წარმოების მოწინავე ორგანიზაციის გამოყენების საფუძველზე.

თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს მორიგი ხუთწლედის (1966-1970 წლების) გეგმების კოორდინაციის განხორციელების ვადები.

იმ მიზნით, რომ გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებზე და მრეწველობისა — ნედლეულზე, თათბირმა საჭიროდ მიიჩნია, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ეკონომიური ურთიერთდახმარების წევრი ყოველი ქვეყნის შემდგომ ღონისძიებათა ერთად გაფართოვდეს მრავალმხრივი თანამშრომლობა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (ქიმიური სასუქებითა და მანქანებით) სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზრუნველყოფაში და გაძლიერდეს მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაზიარება.

თათბირმა მოიწონა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემუშავებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში შემოღებულ იქნეს მრავალმხრივი ანგარიშსწორება და ამ მიზნით შეიქმნას ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკი. თათბირმა განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც შეეხება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

თათბირის მონაწილეებს თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ ის, რომ ყოველი ქვეყნის შინაგანი რესურსებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური კავშირურთიერთობის შემდგომ განვითარებას, მათ ერთიანობასა და შეკავშირების განმტკიცებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების შემდგომი გაღრმავება, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების, საქონელბრუნვის, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოება უაღრესად საჭიროა ყოველი სოციალისტური ქვეყნისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობისათვის.

თათბირმა, რომელმაც გულითადობის, ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო მისი ყველა მონაწილის შეხედულებათა სრული ერთობა განხილულ საკითხებზე.

კომუნიკე

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის შესახებ

1963 წლის 26 ივლისს მოსკოვში გაიმართა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი სხდომა.

სხდომაში მონაწილეობა მიიღეს:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან—ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სტანკო ტოდოროვმა, სახალხო თავდაცვის მინისტრმა დობრი ჯუროვმა;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა, თავდაცვის მინისტრმა ლაიოშ ცინეგემ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კაროი ერდეიმ;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვილი შტოფმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ერიხ ჰონეკერმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ჰაინც ჰოფმანმა, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ოტო ვინცერმა;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზენონ კლიშკომ, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა მარიან სპიხალსკიმ;

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გეორგე გეორგიუ-დეჟმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იონ გეორგე მაურერმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ემილ ბოდნერაშმა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ გასტონ მარინმა, შეიარაღებული ძალების მინისტრმა ლეონტინ სელეჟანმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა კორნელიუ მენესკუმ;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ, მთავრობის თავმჯდომარემ ვილიამ შიროკიმ, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ოტაკარ შიმუნეკმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ბოგუმირ ლომსკიმ.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომამ განიხილა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ.

ამ საკითხის განხილვისა და აზრთა გაზიარების შედეგად მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომები სრული ურთიერთგაგებისა და ერთსულოვნების ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

სკკპ 60 წლისთავი

ჩვენი პარტიის სახელოვანი გზა

სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რსდმ პარტიის მეორე ყრილობის 60 წლისთავისადმი

27 ივლისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში გაიმართა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის 60 წლისთავისადმი.

დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საწარმოო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, ძველი ბოლშევიკები და რევოლუციონერები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.**

მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 60 წელი“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **ვ. მერკვილაძემ.** მან აღნიშნა, 60 წლის წინათ, მოახლოებული რევოლუციური ქარიშხლისა და ღრმა სოციალურ რყევათა ახალ ეპოქაში რსდმ პარტიის II ყრილობაზე დაიბადა ახალი ტიპის პარტია, ლენინური ბოლშევიკური პარტია, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტია.

ლენინის პარტიამ, აღნიშნავს შემდეგ მომხსენებელი, შეისისხლხორცა ყოველივე, რაც კი დიადი და გმირული, მოწინავე და გონივრული იყო მუშათა კლასში. პარტია თავისი არსებობის პირველი დღიდანვე წარმოგვიდგა როგორც ავანგარდი ყველაზე რევოლუციური კლასისა, როგორც პარტია ნოვატორი რევოლუციონერებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების გაბედული გარდამქმნელებისა. ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის ასპარეზზე რომ გამოვიდა, კომუნისტების ლენინური პარტია სათავეში ჩაუდგა რუსეთის მუშათა კლასს, ყველა მშრომელს მეფის ძირმომპალი თვითმპყრობელობის, მემამულურ-ბურჟუაზიული ბატონობის წინააღმდეგ იერიშის მისატანად, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად და მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შესაქმნელად.

მომხსენებელი ამბობს, რომ პარტია, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით შეიარაღებული, თითოეულ ისტორიულ ეტაპზე წყვეტდა თავის პროგრამებში მეცნიერულად ჩამოყალიბებულ ამოცანებს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მარქსისტულ-ლენინური თეორიის სრული ტრიუმფი იყო. ამით პარტიამ ღირსეულად შეასრულა თავისი პირველი პროგრამა, რომელიც შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა და მიიღო რსდმ პარტიის II ყრილობამ.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის მრისხანე წლებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა უმაგალითო ნგრევისა და შიმშილის მძიმე პირობებში გმირულად იცავდა დიდი ოქტომბრის მონაპოვრებს, პარტიამ თავის VIII ყრილობაზე მიიღო მეორე პროგრამა, რომელიც აგრეთვე ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა. პროგრამამ პარტიის ძირითად მიზნად და ბრძოლის მთავარ აზრად დასახა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ამოცანა. ლენინელთა პარტიამ წარმატებით განახორციელა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ეს ამოცანაც. სსრ კავშირში სოციალიზმმა გაიმარჯვა მთლიანად და საბოლოოდ.

ამჟამად, აღნიშნავს ამხ. მერკვილაძე, ჩვენი პარტია ახორციელებს XXII ყრილობის მიერ მიღებულ მესამე პროგრამას, რომელშიც უდიდესი მეცნიერული სიზუსტით არის მოცემული სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების ფილოსოფიური, ეკონომიური და პოლიტიკური დასაბუთება. და აი სამყაროს რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლის ავანგარდში უკვე სამოცი წელია მტკიცედ დგას ლენინის პარტია, რომელიც მცირერიცხოვანი მარქსისტული ჯგუფებიდან და წრეებიდან თანამედროვეობის უდიდეს ინტერნაციონალურ ძალად გადაიქცა, საბჭოთა ხალხის ავანგარდი, კომუნიზმის მშენებელთა დიადი პარტია გახდა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სკკპ ისტორიის სხვადასხვა ეტაპს, გააშუქა პარტიის ორგანიზატორული როლი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

მოხსენება „რსდმ პარტიის II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **ა. ალლაძემ.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიად გზაზე, აღნიშნავს იგი, თითოეული ყრილობა უმნიშვნელოვანესი ისტორიული ნიშანსვეტია, დიდი პარტიული ფორუმია. მათ შორის კი რსდმ პარტიის II ყრილობას ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან ფაქტიურად სწორედ ამ ყრილობაზე შეიქმნა ახალი ტიპის პარტია, ლენინური ბოლშევიკური პარტია, რომელმაც შესანიშნავად განასახიერა ყოველივე საუკეთესო, რაც წარმოშვა რევოლუციურმა პროლეტარულმა მოძრაობამ დასავლეთში, რევოლუციურმა დემოკრატიულმა მოძრაობამ რუსეთში და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი სამშობლოს ბედიღბლის განსაზღვრაში, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გახვითარებაში.

შემდეგ ამხ. ა. ალლაძე ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია კომუნიზმის საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში და აღნიშნავს, რომ პარტიის როლი და გავლენა განუზომლად გაიზარდა XX, XXI და XXII ყრილობების მიერ დასახული ლენინური კურსის განუხრელი განხორციელების შედეგად, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო პიროვნების კულტის წინააღმდეგ გაბედული და აშკარა ბრძოლის შედეგად.

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ პარტიის XX, XXI და XXII ყრილობების მიერ აღებული კურსი სწორია, ლენინის პარტია თავის მოღვაწეობაში მთელი 60 წლის მანძილზე ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპებით. იგი მუდამ იბრძოდა და იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მჭიდრო შეკავშირებისათვის, მარქსისტულ-ლენინური პარტიების ერთიანობის განმტკიცებისათვის, მეთაურობს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ძალებს. ბოლშევიზმი საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის დროშა და ყველა ქვეყნის მუშათა კლასის მარქსისტული პარტიების მაგალითი გახდა.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გ. ჟვანიას მოხსენება „მარქსისტული პარტიის შექმნის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლა ამიერკავკასიაში“.

— ამიერკავკასიაში, — აღნიშნავს ამხ. ჟვანია, — პირველი მარქსისტული წრეები და ჯგუფები შეიქმნა გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში. მათ დიდი როლი შეასრულეს კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნაში. ამ ორგანიზაციებში შევიდნენ მოწინავე მუშები, რომლებმაც წრეებში მიიღეს პოლიტიკური აღზრდა და შეადგინეს მათი ძირითადი ბირთვი. უკვე 1902 წლის ბოლოსა და 1903 წლის დამდეგისათვის ამიერკავკასიის თითქმის ყველა ძირითად რაიონში მუშაობდნენ ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა ჯგუფები. მაგრამ ეს ორგანიზაციები და ჯგუფები ჯერ კიდევ მჭიდროდ არ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, არ ჰქონდათ ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრი. კავკასიის მზარდი რევოლუციური მოძრაობა კი სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების საქმიანობა ხელმძღვანელ ცენტრს გაეერთიანებინა. ეს ამოცანა შეასრულა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ, რომელიც 1903 წელს თბილისში გაიმართა.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპებზე, პარტიისა, რომელიც ისტორიულად წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მოწინავე და მებრძოლ ავანგარდს.

სესიის მონაწილეებს თავიანთი მოგონებანი გაუზიარეს სკკპ წევრმა 1903 წლიდან **ს. ქავთარაძემ,** სკკპ წევრმა 1905 წლიდან **ი. ფრანგულიანმა,** ძველმა ბოლშევიკმა, მწერალმა **დ. სულიაშვილმა,** სკკპ წევრმა 1917 წლიდან **ნ. მახარაძემ.**

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. გოცირიძემ** და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ფრუიძემ.** (საქდესი).

პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

26 ივლისს საქართველოს სსრ მთავრობის სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მორიგი მერვე პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველი მდივნის რ. ი. ფრუიძის მოხსენება ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ: პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსი **მ. გ. ქერძაძე,** ქარხანა „თბილხელსაწყოს“ მუშა **ლ. დ. კოგონდინი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მ. ს. ჯანჯღავა,** ტრესტ „ინჟმშენის“ მმართველი **მ. ლ. ფანჯოტაძე,** საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი **კ. ი. ქავთარაძე** და სხვები.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ **გ. ა. გეგეშიძემ.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება თბილისის მორიგი XXXI საქალაქო პარტიული კონფერენცია მოწვეულ იქნას 1963 წლის 7-8 დეკემბერს.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მეთვრამეტე სესია

25-26 ივლისს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XVIII სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოს წევრი ქვეყნების: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციებმა.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიამ შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი იმისათვის, რომ შესრულდეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივანთა და ამ ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირის რეკომენდაციები აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების გამო საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1962 წლის ივნისის თათბირის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას საბჭოს ახალი მუდმივი კომისიები — რადიოტექნიკური და ელექტრონული მრეწველობისა და გეოლოგიის კომისიები, აგრეთვე გარდაიქმნას მსუბუქი და კვების მრეწველობის მუდმივი კომისია ორ დამოუკიდებელ კომისიად — მსუბუქი მრეწველობისა და კვების მრეწველობის კომისიებად.

სესია გულითადობისა და ძმური მეგობრობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის შესახებ

26 ივლისს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მერვე სხდომა.

აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო საჭირო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შესრულდეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივანთა და ამ ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირის რეკომენდაციები და საბჭოს XVIII სესიის გადაწყვეტილებანი, რომლებიც 24-26 ივლისს გაიმართა მოსკოვში.

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა

ნიშნით „სასწრაფო“

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკდესი). ამერიკის დეპეშათა სააგენტოებმა ნიშნით „სასწრაფო“ გადასცეს ცნობები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის შესახებ გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ კორესპონდენტთა კითხვებზე.

დეპეშებში გამოყოფილია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, რომ შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ქმნის „ხელსაყრელ შესაძლებლობებს“ განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება. საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, ხაზს უსვამს იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო, რომ გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი მთავარი საკითხია საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციის საქმეში.

ამ სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოებს დაიწყონ მოლაპარაკება „ცივი ომის ლიკვიდაციის შესახებ“.

სადილი კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა პატივსაცემად

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სადილი გაუმართეს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ თათბირში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე, და მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის მონაწილეებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად მიესალმა თათბირების მონაწილეებს და მოძმე ქვეყნების ხალხებს, უსურვა ახალი დიდი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში.

სადილზე სიტყვები წარმოთქვეს: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა; პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ; რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გ. გეორგიუ-დეჟმა; ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა; უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ ი. კადარმა; ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ; მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა.

სადილმა მეგობრობის და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ი. ცედენბალი

27 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამხანაგ ი. ცედენბალს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრნენ — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. მოლომჟამცი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. დუგერსურენი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი დ. სოდნომი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე პ. შაგდარსურენი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ს. ლუვსანი.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა.

მოსკოვიდან გაემგზავრნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები

26 ივლისს მოსკოვიდან ბუქარესტს გაემგზავრნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჟი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერი და სხვები.

კიევის ვოგზალზე რუმინელი ამხანაგები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ი. ვორონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ნ. ტიტოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ა. ჰარიმანი

26 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ა. ჰარიმანი და ესაუბრა მას. საუბრის დროს შეეხნენ საკითხებს, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს. საუბარი გულახდილ და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი; ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ფ. კოლერი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის მოადგილე ეროვნული უშიშროების საკითხებში კ. კეიზენი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი ა. აკალოვსკი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა უ. ა. ჰარიმანისა და ლორდ ჰეილშემის პატივსაცემად

26 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში გამართა სადილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთა — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის უ. ა. ჰარიმანისა და შეერთებული სამეფოს საბჭოს ლორდ-თავმჯდომარის მეცნიერების საკითხთა მინისტრის ლორდ ჰეილშემის პატივსაცემად იმასთან დაკავშირებით, რომ შეთანხმებულია ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ და გაიმართა აზრთა გაზიარება ურთიერთსაინტერესო სხვა საკითხებზე.

სადილზე იყვნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ფ. დ. კოლერი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სერ ხ. ტრეველიანი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის მოადგილე კ. კეიზენი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი ა. აკალოვსკი და დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომელი სსრ კავშირში მ. უილერი.

საბჭოთა კავშირის მხრიდან სადილზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ს. კ. ცარაპკინი და სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი.

სადილზე ნ. ს. ხრუშჩოვმა, უ. ა. ჰარიმანმა და ლორდმა ჰეილშემმა წარმოთქვეს სადღეგრძელოები. სადილმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრნენ ა. ჰარიმანი და ლ. ჰეილშემი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ა. ჰარიმანი და შეერთებული სამეფოს საბჭოს ლორდი-თავმჯდომარე და მეცნიერების საკითხთა მინისტრი ლორდი ჰეილშემი თავიანთი მრჩევლებითურთ დღეს მოსკოვიდან გაემგზავრნენ.

ბ-ნი ა. ჰარიმანი და ლორდი ჰეილშემი და მათი მრჩევლები, როგორც უკვე ვიუწყებოდით, მოლაპარაკების შედეგებს მოახსენებენ და ხელშეკრულების პარაფირებულ ტექსტებს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ გადასცემენ თავიანთ მთავრობებს. (საკდესი).



რასიზმი ამერიკული ცხოვრების წესის განუყრელი ნაწილი გახდა. რასობრივი სიძულვილი შხამიანი გველივით შემოხვევია ამერიკის შეერთებულ შტატებს.

დასავლეთ ბერლინის გაზეთ „დერ ტაგეს შპიგელის“ კარიკატურისტმა დახატა შეშინებული თავისუფლების ქანდაკება. გველს აწერია „რასობრივი სიძულვილი“. აი ამერიკული თავისუფლება.

საკდესის ფოტოქრონიკა.

მეგობრობის გამოფენა

ჰავანა, 26 ივლისი (საკდესი). ჰავანაში გუშინ საღამოს გაიხსნა საბჭოთა მეგობრობისადმი მიძღვნილი წერილებისა და სამახსოვრო საჩუქრების დიდი გამოფენა. ეს საჩუქრები მოამზადეს თავისუფლების კუნძულის მშრომელებმა „სსრ კავშირ-კუბის ძმობის ფოსტის“ საყოველთაო-სახალხო კამპანიის მსვლელობაში. გამოფენაზე, რომელიც მოაწყო კუბის განათლების სამინისტროს მუშათა და გლეხთა სწავლა-განათლების სამმართველომ, წარმოდგენილია სამასი ათასი წერილიდან და საჩუქრიდან საუკეთესო წერილები და საჩუქრები. ეს წერილები და საჩუქრები მოამზადეს კუბის ყველა პროვინციის მუშებმა და გლეხებმა საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის გადასაცემად გულწრფელი მადლობის ნიშნად, რომ კუბის პრემიერ-მინისტრს ფიდელ კასტროს სსრ კავშირში ვიზიტის დროს განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ.

გამოფენის საზეიმო გახსნას დაესწრნენ კუბის განათლების მინისტრის მოადგილე ხოსე აგილერა მასეირა, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი კუბაში ა. ი. ალექსეევი და საელჩოს თანამშრომლები.

გამოფენის გახსნაზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა მასეირამ. მან აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირ-კუბის ძმობის ფოსტა“ გულწრფელად გამოხატავს, კუბის მშრომელთა „ძმური მეგობრობის გრძნობებს საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი“.

სენატი კვლავ უარყოფს

პარიზი, 26 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის სენატმა 218 ხმით 36 ხმის წინააღმდეგ დღეს მეორე წაკითხვით უარყო დე გოლ-პომპიდუს მთავრობის კანონპროექტი, რომელიც ზღუდავს სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაკების გაფიცვის უფლებას.

პრეზიდენტ კენედის გამოსვლა

ვაშინგტონი, 27 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი მ. სალათელიანი იუწყება:

გუშინ საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვში პარაფირებულია ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ეს ხელშეკრულება, განაცხადა პრეზიდენტმა, „კაცობრიობის გამარჯვებაა“. ხელშეკრულება აკრძალავს შეერთებულ შტატებს, შეერთებულ სამეფოს, საბჭოთა კავშირსა და ყველა სხვა ქვეყანას, რომლებიც ხელს მოაწერენ მას, გამოცდების განხორციელებას ატმოსფეროში, რაც კაცობრიობის ესოდენ ძლიერ შეშფოთებას იწვევს. იგი მთელ მსოფლიოს აძლევს სასურველ საბაბს იმედისათვის. ეს ცალმხრივი მორატორიუმი კი არა, კონკრეტული და საჯარო იურიდიული ვალდებულებაა, თქვა პრეზიდენტმა.

ეს ხელშეკრულება ოქროს საუკუნის მოსვლას როდი მოასწავებს, ხაზგასმით აღნიშნა კენედიმ. იგი ვერ გადაჭრის ყველა კონფლიქტს, ვერ აღმოფხვრის ომის საფრთხეს. მაგრამ ეს არის პირველი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი — ნაბიჯი იმ გზისა, რომელსაც მივყავართ მშვიდობისაკენ, გონებისაკენ, ნაბიჯი, რომელიც გვაშორებს ომს.

ამიტომ, თქვა პრეზიდენტმა, უნდა შევეცადოთ თავიდან ავაცილოთ მსოფლიოს ომი, შევეცადოთ რაც შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა, და ყოველგვარი შესაძლებლობა, რათა შენელდეს დაძაბულობა, შეფერხდეს საშიში გამალებული ატომური შეიარაღება და შეჩერდეს მსოფლიოს სვლა საბოლოო მოსპობისაკენ. დიდმნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ განგრძობილ იქნება მეცადინეობა ახალ შეთანხმებათა მიღწევის მიზნით, აღნიშნა პრეზიდენტმა. მაგრამ ის, რომ ძნელია წინასწარ ვიწინასწარმეტყველოთ შემდეგი ნაბიჯი, საფუძველს არ გვაძლევს უარი ვთქვათ უკვე გადადგმულ ნაბიჯზე. მოლაპარაკება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ დიდი ხანია იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის უთანხმოების სიმბოლო. თუ ეს მოლაპარაკებაც გახდება სიმბოლო — ესე იგი თუ იგი იქნება იმის სიმბოლო, რომ დასრულდება ერთი ერა და დაიწყება მეორე — თუ ორივე მხარე ამ ხელშეკრულების დახმარებით განიმსჭვალება რწმენით და შეიძენს გამოცდილებას მშვიდობიან თანამშრომლობაში, მაშინ ეს მოკლე და მარტივი ხელშეკრულება, სავსებით შესაძლებელია, გახდეს ისტორიული ნიშანსვეტი მშვიდობისადმი ადამიანის მარადიული მისწრაფების გზაზე.

კენედიმ აღნიშნა, რომ ახლანდელი ხელშეკრულება შეიძლება იყოს ნაბიჯი შიშისა და რადიოაქტიური ნალექების საფრთხისაგან მსოფლიოს განთავისუფლების გზაზე. მისი სიტყვით, განუსაზღვრელი ატომური გამოცდების განგრძობა კიდევ უფრო მოწამლავდა ჰაერს. ამიტომ, თქვა პრეზიდენტმა, გამოცდების აკრძალვა ატმოსფეროში მსოფლიოს აძლევს „უფრო თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას“.

შემდეგ პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ ეს ხელშეკრულება შეიძლება გახდეს ნაბიჯი იმ გზაზე, რომ ქვეყნებს, რომელთაც ამჟამად ატომური იარაღი არ მოეპოვებათ, თავიდან ავაცილოთ მისი მიღება.

ქვეყნებმა, რომელთაც ამჟამად მოეპოვებათ ატომური იარაღი, განაგრძო პრეზიდენტმა, თავიდან უნდა აიცილონ მისი შემდგომი გავრცელება, დაარწმუნონ სხვა ქვეყნები, რომ არ გამოსცადონ, არ გადასცენ, არ შეიძინონ, არ იქონიონ და არ აწარმოონ ატომური იარაღი.

თავისი გამოსვლის დასასრულს კენედი შეეხო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკის სენატის მიერ ხელშეკრულების მომავალ რატიფიკაციასთან. პრეზიდენტმა მიმართა ამერიკელ ხალხს და მოუწოდა მოითხოვოს ხელშეკრულების რატიფიკაცია.

კამბოჯის ხელისუფალთა პროტესტი

პნომ-პენი, 26 ივლისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კამბოჯის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ეროვნული თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი კომუნიკე. ამ კომუნიკეში კატეგორიულად უარყოფილია, როგორც ჭორი, ტაილანდის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებანი კამბოჯის ჯარების კონცენტრაციის შესახებ ტაილანდის საზღვარზე, რაც მან გააკეთა პრეს-კონფერენციაზე 19 ივლისს ბანგკოკში. ტაილანდის შინაგან საქმეთა მინისტრის ეს ჭორი, ნათქვამია კომუნიკეში, მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს — სახელი გაუტეხოს კამბოჯას მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში და კიდევ უფრო გაამწვავოს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა.

ამავე დროს კომუნიკეში მოყვანილია მრავალი ფაქტი, რომ ტაილანდი არღვევს კამბოჯის საზღვრებს, კერძოდ ტაილანდის სამხედრო თვითმფრინავები ხშირად ფრენენ კამბოჯის ტერიტორიაზე, ბანდები ყაჩაღურად თავს ესხმიან კამბოჯის სასაზღვრო სოფლებს.

სახიფათო შეცდომა

პარიზი, 26 ივლისი. (საკდესი). დე გოლის მთავრობა „სახიფათო შეცდომას“ სჩადის, როცა მიაჩნია, რომ საფრანგეთს შეუძლია არ დაინტერესდეს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხის განხილვით და რომ საფრანგეთმა უნდა განაგრძოს საკუთარი გამოცდა, წერს დღეს გაზეთ „მონდში“ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწე ჟიულ მოკი.

კვლავინდებურად დაუჯერებელია და გულდასაწყვეტი, წერს ჟიულ მოკი, რომ ჩვენმა მთავრობამ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო მოლაპარაკებაში. ამ იზოლაციით ჩვენ ვერაფერს, აბსოლუტურად ვერაფერს ვიგებთ. დაკარგვით კი — ბევრს ვკარგავთ.

არავითარ ეჭვს არ იწვევს, წერს ჟიულ მოკი, რომ შეთანხმება, რომელსაც მოსკოვში მოაწერენ ხელს, „პირველი აქტი“ იქნება. ამ აქტს უსათუოდ მოჰყვება სხვა აქტებიც.

„ნუთუ განვაგრძობთ გამოცდის მომზადებას წყნარ ოკეანეში, რომელიც მილიარდები გვიჯდება, რამაც უკვე გამოიწვია ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის პროტესტები?“ — კითხულობს ჟიულ მოკი.

ჟიულ მოკი მოაგონებს, რომ საფრანგეთის მთავრობას საამისოდ არა აქვს არც მორალური, არც პოლიტიკური უფლება და ხაზს უსვამს, რომ ასეთი პოლიტიკის განხორციელება კიდევ უფრო შელახავს საფრანგეთის პრესტიჟს.

„სამ დიდ სახელმწიფოსთან ურთიერთობის გაწყვეტა ამ დარგში, რომელიც ესოდენ უშუალოდ ეხება ყველა ხალხის ინტერესებს, და ჩვენი საკუთარი გამოცდის განგრძობა, სერიოზულ სიძნელეებს შეგვიქმნის, — წერს იგი. — რა დიპლომატიური მარცხისაკენ მიგვაქანებს მთავრობის პატივმოყვარული მისწრაფება, რომ შეჰქმნას ისეთი მასშტაბის დარტყმითი ძალა, რომელიც აღემატება ჩვენი ქვეყნის ძალღონეს, მის ფინანსებს, მის მრეწველობას? ჩვენ მარტოდ მარტო დავრჩებით ინგლის-ამერიკა-საბჭოთა კავშირის შეთანხმების პირისპირ და მით უარესი ჩვენთვის...“

მეგობრული დახმარება

26 ივლისს იუგოსლავიის მთელ რიგ რაიონებში მოხდა მიწისძვრა, რის შედეგადაც ამ რაიონებში არის სერიოზული ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი. განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა ქალაქი სკოპლე — მაკედონიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი.

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს ი. ბ. ტიტოს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გამოთქვეს გულწრფელი თანაგრძნობა ადამიანთა მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის გამო, რაც მიაყენა მიწისძვრამ იუგოსლავიის მთელ რიგ რაიონებს და განსაკუთრებით ქალაქ სკოპლეს — მაკედონიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქს. საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც გაითვალისწინა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოძმე ხალხების მეგობრობის არსებული ტრადიციები, გადაწყვიტა დაეხმაროს დაზარალებულთ. იუგოსლავიას გაეგზავნება 50 ათასი ტონა ცემენტი, 5 ათასი კუბური მეტრი დახერხილი მასალა, აგრეთვე სათანადო რაოდენობის მედიკამენტები და სურსათი.

ყირიმელ მხვნელ-მთესველთა სახელოვანი გამარჯვება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს ყირიმის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ყველა მშრომელს, რომ მათ წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა.

ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 18,3 მილიონი ფუთი პური, ანუ გეგმაზე 300 ათასი ფუთით მეტი. უძვირფასესი სასურსათო კულტურა, საშემოდგომო ხორბალი, დამზადებულია 14,2 მილიონი ფუთი. ოლქის მიწათმოქმედებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს დამატებით მიჰყიდონ სულ ცოტა მილიონი ფუთი მარცვლეული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ყირიმის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები ახალ წარმატებებს მიაღწევენ პარტიის XXII ყრილობის იმ ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, რომ შეიქმნას კომუნიზმის მატერიალური ბაზა ჩვენს ქვეყანაში.

ყირიმის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წერილით მოახსენეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა. მეურნეობებმა სავსებით მოიმარაგეს თავთავიანი და პარკოსანი კულტურების თესლი, ქმნიან ფურაჟის ფონდებს და მარცვალს ურიგებენ კოლმეურნეებს შრომა დღეებზე.

სოფლის მეურნეობის მშრომელები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ მისცენ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია. 10 ივლისისათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადებულია მეტი: ხორცი — 3.193 ტონა, რძე — 9.805 ტონა, მატყლი — 2.433 ცენტნერი და კვერცხი 512 ათასი ცალი. წელს კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები იმისათვის იბრძვიან, რომ მოკრიფონ 280-300 ათასი ტონა ყურძენი და 50 ათას ტონაზე მეტი ხილი. (საკდესი).

წარმოებს საშველი სამუშაოები

ბელგრადი, 27 ივლისი. (საკდესი). გაზეთები „ბორბა“ და „პოლიტიკა“, აგრეთვე გაზეთი „ვეჩერნი ნოვოსტი“, თავიანთ საღამოს გამოშვებებში იუწყებიან, რომ 5 საათსა და 17 წუთზე დიდი დამანგრეველი ძალის მიწისძვრამ გაანადგურა მაკედონიის დედაქალაქის სკოპლეს უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით კი ქალაქის ის ნაწილი, რომელიც გაშენებულია ვარდარის მარცხენა ნაპირზე. მიწა იძრა როცა ქალაქის ბევრ მკვიდრს ეძინა. პირველი და არასრული მონაცემებით მიწისძვრამ ადამიანთა უდიდესი მსხვერპლი გამოიწვია. შენობების თითქმის 80 პროცენტი დანგრეული, ან დაზიანებულია. სკოპლეს ბევრი მკვიდრი ჯერ ისევ ნანგრევებშია ჩამარხული.

შუადღისას დაიწყო საშველი სამუშაოები. სკოპლეს მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად, გარდა სამხედრო ნაწილებისა, მოვიდნენ ახლომდებარე ქალაქების მკვიდრნიც. იუგოსლავიის სხვადასხვა რაიონიდან თვითმფრინავებს ჩამოაქვთ წამლები, ჩამოჰყავთ სამედიცინო პერსონალი.

ქალაქს აღარ აქვს წყალი, პური, ელექტროშუქი, სატელეფონო კავშირი.

წინასწარი მონაცემებით დაღუპულთა და მძიმედ და მსუბუქად დაშავებულთა რიცხვი რამდენიმე ათას შეადგენს. საღამოს გაზეთებში გამოქვეყნებული მონაცემებით 15 საათისათვის დაღუპულია 2 ათასი კაცი.

იუგოსლავიამ ორი დღის გლოვა გამოაცხადა.

საერთაშორისო ცხოვრება

ლიტერატურა და ხელოვნება

ბესარიონ ჟღენტის დაბადების 60 წლისთავის გამო



ბესარიონ ჟღენტმა არაერთი ნაშრომი და საინტერესო წერილი მიუძღვნა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას. მაგრამ ის როდია მარტო მემატიანე საბჭოთა ლიტერატურისა, არამედ დასაწყისიდანვე, მიმდინარე საუკუნის ოციანი წლებიდან იგი თვითონ დგას ამ ლიტერატურის პირველ დამფუძნებელთა და მშენებელთა მოწინავე რიგებში, და როგორც გამოჩენილი საბჭოთა კრიტიკოსი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატურული ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, იბრძვის და იღვწის საბჭოთა კულტურის წინსვლისა და აყვავებისათვის. ხანგრძლივი და ფრიად საინტერესოა გზა, რომელიც ბესარიონ ჟღენტმა გაიარა: ჯერ მარტო ის მძაფრი დისკუსიები გაიხსენეთ, რომლებიც ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე ახსოვს მწერალთა სახლს, თუ რუსთაველის საკონცერტო დარბაზს — ბესო ჟღენტი მუდამ იდეური ბრძოლის, აზრთა შეხლა-შემოხლის შუაგულში იყო და მუდამ თამამად, შეუპოვრად იბრძოდა სოციალისტური ესთეტიკის თეორიული პრინციპების, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლური დებულებების დასაცავად, მუდამ ცდილობდა განემტკიცებინა ის აზრი, რომ კომუნისტური იდეურობისა და მაღალი მხატვრულობის, ხალხურობისა და სამშობლოს მგზნებარე სიყვარულის, კეთილშობილური ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის გარეშე ნამდვილი მწერლობა შეუძლებელია არსებობდეს. შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც უცხოა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, მგზნებარე სწრაფვა სოციალისტური ხელოვნების ჭეშმარიტი სილამაზისადმი, რომელიც ეხმარება კომუნიზმის მშენებლობას — ასეთია დედააზრი მთელი მისი მოღვაწეობისა. ის ერთ-ერთი თვალსაჩინო თეორეტიკოსია სოციალისტური რეალიზმისა, აღიარებული არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

ბესარიონ ჟღენტი პირველ რიგში დაუცხრომელი მებრძოლი და პოლემისტია. მახსენდება 1954 წლის დეკემბერი. მოსკოვში, მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაზე ვიყავით. იმ დღეს სვეტებიან დარბაზში ყრილობის დახურული სხდომა მიმდინარეობდა (ესწრებოდნენ მარტო დელეგატები) — ახალი წესდების პროექტი უნდა განხილულიყო. სხდომას სახელოვანი რუსი მწერალი ალექსანდრე ფადეევი თავმჯდომარეობდა. ის იმ დღეს ავად იყო, მაგრამ სხდომა მაინც არ გააცდინა, რადგან ცხარე კამათი იყო მოსალოდნელი. ასეც მოხდა. შუა კამათის დროს ბესარიონმა თითი ასწია და სიტყვა ითხოვა. ფადეევმა შეხედა თუ არა, გამოაცხადა:

ტრიბუნაზე და საწერ მაგიდასთან

— სიტყვა ეკუთვნის... სიტყვა ეკუთვნის...

და თუმცა ა. ფადეევი და ბ. ჟღენტი უკვე კარგა ხნის მეგობრები იყვნენ და შინაურულად იცნობდნენ ერთი-მეორეს, ფადეევმა ბესოს სახელი და გვარი ვეღარ გაიხსენა. ამის გამო ძალზე შეწუხდა, დაბნეული იდგა პრეზიდიუმის მაგიდასთან და აღარ იცოდა რა ეთქვა. ამასობაში ბესარიონი წამოდგა, წავიდა ტრიბუნისაკენ და ის იყო ფადეევმაც წამოიძახა:

— ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი. რამ დამავიწყა ბესო ჟღენტის სახელი!

დარბაზში გულიანად გაიცინეს, მაგრამ ეს როდი იყო მთავარი. დასაწყები მერე დაიწყო: ბესომ ჩასჭიდა ხელი წესდების პროექტის სადავო პუნქტს და თავისებურად სულ ქვეშით გახეხა პროექტის ავტორები (რაზე იყო დავა, ამის მოყოლა მეტად შორს წაგვიყვანდა). ჩვენს წინაშე ბრწყინვალე პოლემისტი იყო, რომელმაც ზუსტად იცის ყველა წესი ორატორული ხელოვნებისა — ჯერ მისადგომებისა და სუსტი ადგილების მოსინჯვა, მერე შეტევა და ბოლოს — უკანასკნელი იერიში. ფადეევი წუხდა, ნერვიულობდა, ატყობდა, რომ ბესო მართალი იყო და ის პუნქტი პროექტიდან უნდა ამოეღოთ. ერთხანს ითმინა ფადეევმა, ბოლოს წამოხტა, ორატორს სიტყვა შეაწყვეტინა და დაიძახა:

— სად არის სურკოვი, სად არიან პროექტის ავტორები? მარტო მე რომ შემატოვეს ბესოს ხელში, განა შეიძლება ასე?

დარბაზში ტაშმა იგრიალა, ეს იმის ნიშანი და დასტური იყო, რომ ორატორმა გაიმარჯვა — ყრილობამ ის პუნქტი შესცვალა.

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გვინახავს ჩვენ ასეთი ბესარიონი! აგერ ოთხი ათეული წელია ის სულ ტრიბუნაზეა და სულ იბრძვის, სულ დავობს, სულ იმასა ცდილობს, რომ ჩვენი ლიტერატურა უფრო მაღალი იყოს, უფრო თამამად ამოუდგეს მხარში კომუნიზმის მშენებელთა მლევამოსილ არმიას, პირნათლად გამოვიდეს პარტიისა და ხალხის წინაშე.

რაკილა სიტყვა ბესარიონ ჟღენტის ორატორობაზე ჩამოვარდა, აქ ერთი რამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ: მის ორატორულ ხელოვნებას, მთელი ჩვენი წარსული და თანამედროვე კულტურის, მსოფლიო და მშობლიური ლიტერატურის ისტორიის ღრმა და საფუძვლიან ცოდნასა და ფართო ერუდიციასთან ერთად, დიდად ამშვენებს მისი პირდაპირ ფენომენალური მეხსიერება; დისკუსიაზე თუ საიუბილეო საღამოზე, სადაც ბესარიონი უფრო ხშირად მთავარი მომხსენებელია და მეტად იშვიათად რიგითი ორატორი, მას ზეპირად მოჰყავს ციტატები საიდანაც გნებავთ, — რუსთაველი იქნება ეს თუ გურამიშვილი, პუშკინი თუ ილია, ტვარდოვსკი თუ აბაშიძე; მაიაკოვსკი თუ ლეონიძე, ტიხონოვი თუ ჩიქოვანი. მე-19 საუკუნის გამოჩენილ რუს კრიტიკოსზე — ვ. ვ. სტასოვზე ამბობენ, მას თურმე ისეთი მეხსიერება ჰქონდა, წერის დროს ციტატები მარტო ლექსებიდან კი არა, პუბლიცისტური სტატიებიდან და დოკუმენტებიდანაც წყაროში ჩაუხედავად მოჰყავდა და მერე არც შეამოწმებდა ხოლმე. რაღაც ასეთი ამბავია აქაც. ბესომ ზეპირად იცის გალაკტიონის პოეზიის ყველაზე საუკეთესო მარგალიტები გამოუკლებლად. მარტო გალაკტიონის მსგავსი ბუმბერაზები კი არა, მას ტრიბუნაზე შეუძლია დაიმოწმოს სრულიად ახალგაზრდა პოეტის ლექსი, რომელიც მხოლოდ გუშინ გამოსულა სამწერლო ასპარეზზე.

მაგრამ ყოველივე ეს ბესარიონ ჟღენტის მოღვაწეობის მარტო ერთი მხარეა — მთავარი ის კრიტიკული წერილებია, რომლებშიც გაანალიზებულია ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პროცესები. ბ. ჟღენტის ეს სტატიები განაგრძობენ იმ მებრძოლი, მოწინავე, მაღალი მოქალაქეობრივი იდეებით გამსჭვალული კრიტიკის ტრადიციას, რომელიც დაამკვიდრეს სამოციანი წლების მოღვაწეებმა. განვლილი ათეული წლების მანძილზე არ დარჩენილა არცერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, რომელსაც ბ. ჟღენტი არ გამოხმაურებოდეს. და ეს მარტო გამოხმაურება როდი იყო, ძმური ხელის გაწოდება და დახმარება იყო მწერლისადმი, მძლავრი სტიმული იყო მისი წინსვლისათვის, აქტიური ზემოქმედება იყო ლიტერატურული პროცესის მიმართ. ჩვენ რომ აქ ამ წერილების ჩამოთვლა დავიწყოთ, ამას ვერავითარი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს; მაინც შეუძლებელია არ დავასახელოთ მისი „ქართული მწერლობა დიდ სამამულო ომში", „ისტორიის მებრძოლი სული" და ის ბოლოდროინდელი წერილები, რომლებშიც გამოხატულება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასა და, მაშასადამე, ლიტერატურაში მომხდარმა ისტორიულმა ძვრებმა.

ბ. ჟღენტის კალამს ეკუთვნის მკაფიო და პუბლიცისტური პათოსით შესრულებული ლიტერატურული პორტრეტები, რომლებშიც დახასიათებული არიან თანამედროვე ქართული სიტყვის ცნობილი ოსტატები, აღნიშნულია მათი სამწერლო სტილის თავისებურება და ის ახალი, რაც მათ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას მიუმატეს. კრიტიკოსის მთელმა ამ მუშაობამ თავისი შეჯამება და განზოგადება ჰპოვა ვრცელ ნაშრომში — „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია", რომელიც რამდენჯერმე გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ლიტერატურა თავისი ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, სადაც წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა. რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკაა ლიტერატურისათვის". ბესო ჟღენტმა წმინდა ხორბლისაგან ბალახ-ბულახის თესლის გამორჩევაც კარგად იცის და იმ ცხავის ხმარებაც. ის მუდამ თამამად გამოსულა ყოველგვარი უიდეობის, დახავსებული, ეპოქისათვის შეუფერებელი, მდარე და უხარისხო ნაწარმოების სამხილებლად.

მართალია, თანამედროვეობა მისი სტიქიაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკოსი ასევე გატაცებით მუშაობს კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლისა და ათვისების საკითხებზე. აქ უნდა დავასახელოთ მისი ნაშრომები — „რუსთაველი და სოციალისტური თანამედროვეობა", „აკაკი წერეთლის შემოქმედება", „ნ. ბარათაშვილი და საბჭოთა პოეზია", მონოგრაფიები დავით კლდიაშვილზე, ეგ. ნინოშვილზე და პერიოდულ პრესაში გაფანტული უამრავი წერილი რუს და ქართველ კლასიკოსებზე.

დიდი ამაგი დასდო ბ. ჟღენტმა ქართულ თეატრალურ კრიტიკას. წერილი „ჰამლეტის" მარჯანიშვილისეულ დადგმაზე მისი პირველი ნაბიჯი იყო თეატრალურ კრიტიკაში. აღსანიშნავია, რომ მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა თავისი ისტორია დაიწყო ერნსტ ტოლერის პიესით „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", რომელიც თარგმნილი იყო ბ. ჟღენტის მიერ; ეს იყო 1928 წელს; აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ამბავი: შაბათ საღამოს, ქუთაისში რომ ეს სპექტაკლი დაიდგა, კვირა დილას, თბილისში, „კომუნისტის" ფურცლებზე ბესარიონის წერილი იყო მოთავსებული. ესეც კიდევ ერთხელ მეტყველებს კრიტიკოსის ოპერატიულობაზე. სპექტაკლის შემდეგ მან წერილის დაწერაც მოასწრო და ტელეფონითაც უკარნახა რედაქციას.

საერთოდ ბ. ჟღენტს უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა არა მარტო ჩვენი სცენის დიდ რეფორმატორთან — კოტე მარჯანიშვილთან, არამედ მის თანამოღვაწეებთანაც. უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ღამბაშიძე, თამარ ჭავჭავაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე და ქართული სცენის სხვა შესანიშნავი ოსტატები, მუდამ გულდასმით, გულისხმიერად უსმენდნენ მის აზრს და ბესარიონმაც ბევრი რამ გააკეთა მათი შემოქმედების პოპულარიზაციისათვის არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. 1930 წელს ქართული თეატრი პირველად რომ წავიდა საგასტროლოდ ხარკოვსა და მოსკოვში, ბესო ჟღენტი დასს თან ახლდა და თეატრალური პრესის ბედი მას ებარა. გაიხსენეთ თუნდაც ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ბოლოდროინდელი დეკადა მოსკოვში — რაოდენი პატრიოტული სიამაყით არის აღსავსე ბესარიონ ჟღენტის ყოველი წერილი და ზეპირი გამოსვლა, სულ ერთია ეხება ის ახალსა და კარგ ქართულ ლექსს, რომანს თუ სპექტაკლს.

კრიტიკოსის შრომა, რა დასამალია და, ცოტა არ იყოს, უმადური საქმეა: ერთი შეხედვით არა ჩანს, მაგრამ აბა ჩაუკვირდით და გაითვალისწინეთ რაოდენი ღვაწლი დასდო ბესარიონ ჟღენტმა იმას, რომ ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატების სახელები ფართოდ მოსდებოდა მთელ საბჭოთა კავშირსა და მთელ მსოფლიოს, რომ უფრო ხმამაღლა აჟღერებულიყო ქართველი პოეტის ხმა, მკითხველთა უფრო ფართო, მრავალმილიონიანი აუდიტორია დაეპყრო ქართულ მოთხრობასა და რომანს. ბესარიონ ჟღენტის სახით ქართულ საბჭოთა კულტურას თავისი მგზნებარე პატრიოტი, დაუცხრომელი, მუდამ მოუღლელი, ჭკვიანი პროპაგანდისტი და ფხიზელი გუშაგი ჰყავს.

ბესარიონ ჟღენტი სამოცი წლისაა, მაგრამ ტრიბუნაზეც და საწერ მაგიდასთანაც ის ისევე ჭაბუკურია და დაუცხრომელი, როგორიც მუდამ გვახსოვს. ვუსურვოთ მას დღეგრძელობა და ახალი წარმატებანი ჩვენი ხალხის, ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი.

პირველი საბავშვო ენციკლოპედია

ჩვენმა ახალგაზრდობამ საუკეთესო საჩუქარი მიიღო. საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადულმა" ქართულ ენაზე გამოსცა „საბავშვო ენციკლოპედია" I ტომი — „დედამიწა".

საბჭოთა ახალგაზრდობა დიდად გაახარა ათტომიანი საბავშვო ენციკლოპედიის გამოსვლამ, რომლის გამოცემაც დაიწყო რუსეთის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ. „ნაკადული" შეუდგა ამ ენციკლოპედიის ქართულ ენაზე გამოცემას.

საბავშვო ენციკლოპედია

საბავშვო ენციკლოპედიის შექმნაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, გამოცდილი პედაგოგები, მწერლები, მხატვრები. „საბავშვო ენციკლოპედია" იქნება ბავშვის თანამგზავრი სასკოლო ცხოვრების მანძილზე და შეეცდება უპასუხოს მოსწავლის გონებაში აღძრულ ბევრ კითხვაზე.

წიგნში არის ისეთი სტატიები, რომლებიც დაეხმარება ნორჩ ტექნიკოსებს, ნორჩ ნატურალისტებს, მხატვრებს.

პირველი ტომი — „დედამიწა" შეიცავს ცნობებს მსოფლიოს ფიზიკურ გეოგრაფიასა და დედამიწათმცოდნეობაზე. მასში მოთხრობილია გეოგრაფიული მეცნიერების წარმოშობასა და განვითარებაზე, იმაზე, თუ ბუნების რა კანონებს სწავლობს ეს მეცნიერება და რა აღმოჩენები გააკეთეს გეოგრაფებმა და სწავლულებმა. მეორე ტომი — „დედამიწის ქერქი და წიაღი. ციურ სხეულთა სამყარო" მკითხველებს აცნობს გეოლოგიასა და ასტრონომიას. მესამე ტომი — „რიცხვები და ფიგურები. ნივთიერება და ენერგია" მიძღვნილია მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიისადმი. მეოთხე ტომი — „მცენარეები და ცხოველები" — აფართოებს იმ ცოდნას ფაუნასა და ფლორაზე, რასაც მოსწავლე საშუალო სკოლაში იძენს. მეხუთე ტომი — „ტექნიკა" — შეიცავს სტატიებს თანამედროვე მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებზე — მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობის ტექნიკაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაზე (ტელეფონი, ტელეგრაფი, რადიო, ტელევიზია და სხვ.), მეექვსე ტომი — „ადამიანი" გვაცნობს ადამიანის სხეულისა და მისი ცალკეული ორგანოების აგებულებასა და მოქმედებას. მასში მოთხრობილია ადამიანის წარმოშობაზე, აგრეთვე ადამიანის ორგანიზმთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. მეშვიდე ტომში — „კაცობრიობის წარსული", ლაპარაკია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაზე, შრომაზე, აღმოჩენებსა და გამოგონებებზე. მერვე ტომი — „ჩვენი სამშობლო" — მოგვითხრობს ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციაზე, ჩვენი დიადი სამშობლოს შესანიშნავ აწმყოზე, კომუნიზმის მშენებლობის გეგმებზე და სხვ. მეცხრე ტომი — „საზღვარგარეთის ქვეყნები" ეთმობა საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიას, ეკონომიკას, კულტურას და სახელმწიფო წყობას. უკანასკნელი, მეათე ტომი — „ლიტერატურა და ხელოვნება" გვაცნობს სხვადასხვა ქვეყნის და ხალხის ლიტერატურას, მხატვრობას, სკულპტურას, არქიტექტურას, მუსიკას, თეატრსა და კინოს.

ბუნებრივია, ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ, რა განსხვავებაა რუსულ და ქართულ გამოცემებს შორის. ქართულ გამოცემაში ძირითადი მასალა თარგმნილია რუსულიდან და ამავე დროს შევსებულია ქართული ორიგინალური მასალით.

ქართული გამოცემის რედაქტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. კეცხოველი. პირველი ტომის რედაქტორია პროფესორი მ. საბაშვილი. გამომცემლობის რედაქტორები არიან რ. ინანიშვილი, ლ. ცაგარეიშვილი, მ. ჭახრაკია.

წიგნის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ს. პოჟარსკის. გარეკანის მხატვრები არიან დ. დუნდუა და ნ. მალაზონია.

ენციკლოპედიის I ტომი შეიცავს 670 გვერდს. მისი ტირაჟია 20.000 ცალი. წიგნი კარგად არის გამოცემული. იგი აიკინძა გამომცემლობა „ნაკადულის" სტამბაში.

„ნაკადულში" შექმნილმა სპეციალურმა ენციკლოპედიის სარედაქციო ჯგუფმა უკვე მოამზადა დასაბეჭდად II და III ტომების მასალები და მათ ჩვენი მკითხველი 1964 წელს მიიღებს. გეგმით გათვალისწინებულია IV და V ტომების გამოცემა 1965 წელს.

ქართულ ენაზე საბავშვო ენციკლოპედიის გამოცემა დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. ამ მხრივ გამომცემლობა „ნაკადულის" — წამოწყება მისასალმებელია.

დედის სიყვარულით

დედა. მუდამ გულში გწვდება, სიკეთის დასაცავად გიხმობს, ჭირსა და ლხინში იმედს გინერგავს, ძალას გმატებს, სიყვარულს გიღვიძებს ეს მოკლე, ტკბილი ქართული სიტყვა.

ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნილა დედაზე, ვინ იცის, რამდენი დაიწერება კიდევ, მაგრამ განა შეიძლება სიტყვით გამოსცე მშობელი დედის უანგარო სიყვარული!

ალალი სიყვარულით იგონებენ დედებსა და დებს, მამულისათვის თავდადებულ პატრიოტ ქალებს ჩვენი მკითხველები, ახალი ავტორები. აი რას წერენ ისინი:

შენ მკერდს გიმშვენებს ოქროს
ვარსკვლავი,
გამშვენებს გმირი ქალის სახელი.
გიტაცებს შრომა დაუღალავი,
ბევრი დიდების დღეს ხარ მნახველი.
ყამირს აბალებს შენი მარჯვენა —
ქვეყნის მომავლის აკვნის მრწეველი.

ვ. ხუცურაული,
კოლმეურნე, დუშეთის რაიონი,
სოფელი ხორხი.

ბავშვური სიწრფელით უძღვნიან დედებს თავიანთ ალალ სტრიქონებს ჩვენი მოსწავლეები. აი თუნდაც ერთი მათგანი:

ჩემო კეთილო დედიკო,
როგორ მიყვარხარ, იცი!
რომ წყრები, ისიც მახარებს,
მაგრამ სირცხვილით ვიწვი.
რამდენი ღამე გატეხე
შვილებზე ფიქრში, დედა,
შენი ამაგის გადახდას
შევძლებ ოდესმე ნეტა?..

ზ. ელისაშვილი,
მოსწავლე, ხაშურის რაიონი,
სოფელი ტეზერი.

ისე ვერ ათბობს მზე დედამიწას,
როგორც გულს დედის სითბო,
ალერსი.
ჩვენ სიყვარულით გვათბობს და
გვიცავს
დედა — სახელი უძვირფასესი.

დ. ჩაკაბერია,
თბილისი, მოსამსახურე.

ახლა შენს ნანას ბულბული გალობს,
როდი უზიხარ შინ მარტო კერას;
— ვეფხვების დედავ, ქართველო
ქალო!
მშვიდობის დროშას მშვიდობით
კერავ.

დ. ხახიაშვილი,
ონი.

ცხადია, აქ მოთავსებული ლექსების სტრიქონებით არ ამოიწურება ავტორთა გულწრფელი სურვილები და დედის სიყვარული. დედას, როგორც ქვეყნის გაზაფხულს, ახალი თაობის მშობელს, უძღვნიან თავიანთ ლექსებს შ. ადამია, გ. ანდრიაძე, გ. ბახტაძე, ჟ. ბეჟიაშვილი, ზ. დარსაველიძე, რ. გოგიშვილი, მ. ზაუტაშვილი, ლ. გულიევი, ჯ. ონიანი, ვ. ირემაძე, ვ. ლეჟავა, რ. ლორია, ნ. მუშკუდიანი, ნ. პედია, ე. ჯანელიძე და სხვები.

კონკურსის შედეგები

პატარები ამ ნაწარმოებებს ჟურნალ „პიონერში" წაიკითხავენ

□

მიმდინარე წლის მარტში ჟურნალ „პიონერის" რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო საბავშვო მოთხრობაზე, რომელშიც ასახული იქნებოდა ჩვენი მომავალი თაობის, საბჭოთა სკოლის დღევანდელი ცხოვრება. საკონკურსოდ წარმოდგენილ იქნა ოთხმოცდაათი ნაწარმოები. კონკურსის ჟიურიმ განიხილა საბოლოო ტურისათვის შერჩეული ცხრა მოთხრობა. პირველი პრემია არც ერთ ნაწარმოებს არ მიენიჭა.

მეორე პრემია მიენიჭათ კარლო კობერიძეს მოთხრობისათვის „როცა ეზოში ფეხბურთს თამაშობენ" და გივი ჭიჭინაძეს მოთხრობისათვის „შუშხუნები".

მესამე პრემია მიენიჭათ თამაზ გოდერძიშვილს მოთხრობისათვის „გიგას თავგადასავალი", მიხეილ კოპალეიშვილს მოთხრობისათვის „ომობანას თამაში", გიორგი სანადირაძეს მოთხრობისათვის „ბიჭი და ჩიტი".

დასაბეჭდად რეკომენდებულია შემდეგი ნაწარმოებები: ვახტანგ კახაძე — „მისი დაბადების დღე", მაია ნემიროვსკაია — „ვაშლი", გიორგი კეჭაყმაძე — „ლურჯი ზღვის ნაპირას", მირონ ხერგიანი — „თეთრი მწვერვალი".

წერილი ავსტრალიიდან

მეხუთე კონტინენტზე

ქართველ მოცეკვავეთა დიდი წარმატება ავსტრალიაში

სულ ათი წუთი არ გასულა მას შემდეგ, რაც მძლავრი საბჭოთა ლაინერი „ტუ-114" ინდოეთის დედაქალაქის დელის აეროდრომზე დაეშვა, და ქართველ მოცეკვავეებს უკვე გარს შემოეხვივნენ მრავალრიცხოვანი ინდოელი მეგობრები და თაყვანისმცემლები.

მათ როგორღაც შეეტყოთ, რომ ავსტრალიაში საგასტროლოდ მიემგზავრება ქართველ მოცეკვავეთა საქვეყნოდ განთქმული კოლექტივი, რომელიც შარშან უდიდესი წარმატებით გამოდიოდა ინდოეთში და ამ ქვეყნის დედაქალაქის მცხოვრებლებს, როგორც ისინი ამბობდნენ, შეუყვარდათ ტემპერამენტიანი ქართული ცეკვებისათვის, რომლებსაც მშვენიერი ქალიშვილები და ჭაბუკები უდიდესი უბრალოებით და უბადლო გრაციით ასრულებენ...

...კვლავ გავუდექით გზას... თვითმფრინავის ქვეშ მიცურავენ ინდოეთ-განგესის დაბლობის სივრცეები, ქალაქები ბომბეი, კალკუტა — ძველი მეგობრები, რომელთა ქუჩებში არაერთხელ გვივლია. ხანმოკლე დაშვება ბანგკოკში, სინგაპურში, და ინდოჩინეთის მიწები იკარგება ინდოეთის ოკეანის მოლურჯო ბინდბუნდში. სადღაც მარცხნივ სამხრეთის ღამის საფარქვეშ დარჩა ახალი გვინეა, პაპუასების მიწა, სადაც ერთ დროს მიკლუხო-მაკლაი დასახლდა. წინ ავსტრალიაა. ჩვენი ოცდაექვსსაათიანი ფრენა დასასრულს უახლოვდება. გავაკეთეთ 17 ათას კილომეტრიანი ნახტომი. აი ესეც მეხუთე კონტინენტი.

თენდება. უცნობ ცაზე ქრება ვარსკვლავები. მივფრინავთ მატერიკზე, ირიბად ვკვეთთ მას. ქვემოთ მოჩანს ევკალიპტის მორუხო ტყეები, განმარტოებული დასახლებანი, თითქოს უზარმაზარი ხანჯლით დაჩეხილი მთიანი ნაპირები, თეთრი ქაფი ოკეანის ტალღებისა, ქვებს რომ ეხეთქებიან. ამომავალი მზის სხივები თითქოს ადნობს ღრუბლებს, კუნძულების თავზე ცა იწმინდება.

თბილისში ახლა ალბათ საღამოა. რა შორს არის აქედან რუსთაველის პროსპექტი! ყოველთვის, როცა კინოჟურნალისტის დაუდგრომელი ბედი რომელიმე უცნობ ქვეყანაში გადაგტყორცნის, აუცილებლად დადგება ჟამი, როცა მშობლიურ ქვეყანაზე ფიქრი მოსვენებას არ გაძლევს... და რაც უფრო მეტს ხედავ ქვეყნებსა და ხალხებს, მით უფრო გრძნობ შენი სამშობლოს სიყვარულს.

აგერ თვითმფრინავის ფრთის ქვეშ ქალაქი გამოჩნდა. ეს მრავალმილიონიანი სიდნეია, რამდენიმე ათეულ კილომეტრზე რომ გაჭიმულა წყნარი ოკეანის ნაპირზე.

ავსტრალიას ჩვენ აღვიქვამთ როგორც ერთ მთლიანს. ავსტრალიელები მას თავიანთი შტატის პრიზმით უყურებენ. აი ახლაც თვითმფრინავში ჩემმა მეზობელმა ავსტრალიელმა მიმითითა აეროდრომის დასაჯდომ მოედანზე და მითხრა: ჩვენ უკვე სიდნეიში ვართ, ეს არის ნამდვილი ავსტრალია და არ გირჩევთ სხვა შტატებში წახვიდეთ, სიდნეის შემდეგ არსად არ მოგეწონებათ.

პასპორტების შემოწმება, საბაჟო... ჩვენი ჩემოდნები რომ გაქექეს, საბაჟოს მოხელეებმა ცალკე დააწყეს რამდენიმე კოლოფი სიგარეტი და ჩვენი ორკესტრის დოლის გადასაკრავი რამდენიმე ცალი სათადარიგო ტყავი, გვითხრეს, უცხოური სიგარეტების შემოტანისათვის საჭიროა ბაჟის გადახდაო. ჩემს კითხვაზე, ჩვენი დოლის გადასაკრავი სათადარიგო ტყავები „წითელ პროპაგანდად" ხომ არ მიგაჩნიათ-მეთქი, საბაჟოს მოხელემ ღიმილით მითხრა: არა, საერთოდ აკრძალულია ცხოველთა ყოველგვარი ტყავის შემოტანა ავსტრალიაში, რომ რაიმე ინფექცია არ შემოჰყვესო.

აეროვაგზლის ვესტიბიულში ვართ. დიდძალი ხალხი ჩვენი იმპრესარიოს ბატონ ეჯლის მეთაურობით მიესალმება ჩვენს მოცეკვავეებს. მიკროფონთან არის საბჭოთა კავშირ-ავსტრალიის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელი ბატონი ტერი. იგი ულოცავს ქართველ მსახიობთა კოლექტივს ხანგრძლივი ფრენის წარმატებით დამთავრებას, გვარწმუნებს, რომ გულწრფელია მილიონობით ავსტრალიელთა კეთილი გრძნობები საბჭოთა ადამიანებისადმი. ილიკო სუხიშვილის საპასუხო მისალმების სიტყვები, რუსუდან ენუქიძის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი, იწვევს შემხვედრთა მქუხარე ოვაციას, რომელსაც უერთებს ტაშს აეროპორტის მომსახურე პერსონალი და ავიოხაზის მრავალი მგზავრი. ყველანი გულითადად გვართმევენ ხელს, ყველას უნდა კეთილი სიტყვა უთხრას საბჭოების ქვეყნიდან ჩასულ ადამიანს. ჩვენს ქვეყანას ბევრი მეგობარი ჰყავს საზღვარგარეთ, გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენ გვგონია.

სასტუმროში ხანმოკლე შესვენების შემდეგ ჩქარობენ გვიჩვენონ სიდნეი, ავსტრალიის მსხვილი სამრეწველო და პოლიტიკური ცენტრი. ვჩერდებით ეიემპი-ბილდინგის ცნობილ შენობასთან, რომლის მინისა და ფოლადის ოცდაათივე სართული თითქოს ჰაერში ჰკიდია. მისი აგება მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდაო, გვეუბნება მეგზური. იქვე გვერდით ორიგინალური კონსტრუქციის ხიდია სიდნეი-არბორის ყურეზე. ამბობენ, რომ ეს მსოფლიოში უდიდესი ერთთაღიანი ხიდია. მისი სიგრძე 4 კილომეტრი, სიმაღლე 150 მეტრი. ხიდის გიგანტური ფერმების ქვეშ ერთდროულად გადის რკინიგზის ორი შემადგენლობა, ავტომაგისტრალის ორ სართულზე ათასობით ავტომანქანა დადის. ამ ხიდის აშენებაზე ოცი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაიხარჯაო, გვეუბნება იგივე მეგზური.

მომდევნო დღეებში, როცა ჩვენ კინოგადაღებებს ვაწარმოებდით სიდნეიში, არაერთხელ გვიხდებოდა გაგვევლო ხიდზე. ყოველ გავლისას სალაროებში ვტოვებდით ორ-ორ შილინგს. კომპანია, რომელსაც ეს „სასწაული"-ხიდი აუგია, გულმოდგინედ ახდევინებს ორ-ორ „ბობს" (ასე ეძახიან აქ შილინგს) ყველას, ვინც ავტომანქანით გაივლის. ამბობენ, რომ იგი ზღაპრულ მოგებას იღებს, თუ შეიძლება დავიჯეროთ მტკიცება, რომ ავსტრალიაში ყოველ მესამე კაცზე ერთი ავტომანქანა მოდის.

ავსტრალია ავტომობილების ქვეყანაა. ავტომობილი სხვა ქვეყნებში რომ არ გაჩენილიყო, იგი აუცილებლად უნდა გამოეგონებინათ ავსტრალიაში. აქ უავტომობილოდ ყოფნა არ შეიძლება. ფერმები გაფანტულია ავსტრალიის ცენტრში — უდაბნო რაიონებში, სადაც სოფლები ერთმანეთს დაშორებულია რამდენიმე დღის სავალი მანძილით, ქალაქები ფართოდ არის გაშლილი და კომუნალური ტრანსპორტი მათ საიმედოდ ვერ აკავშირებს. ცხენებმა და ხარებმა მხარი ვერ გაუსწორეს მრეწველობისა და ფერმერთა მეურნეობის სწრაფ განვითარებას.

ახალგაზრდა ქვეყანა ავტომობილზე გადაჯდა. ავტომობილების წარმოება და გაყიდვა არაჩვეულებრივად მომგებიანი საქმე გახდა. ბევრმა კომპანიამ უდიდესი თანხები დააბანდა, რომ ხელში ჩაეგდო ავსტრალიის ავტომობილის ბაზარი. მაგრამ ამ შეჯიბრებაში პირველობა მტკიცედ უპყრია ამერიკულ „ჯენერალ მოტორსს". ამ კონტინენტზე შეჭრა „ჯენერალ მოტორსმა" 1926 წელს დაიწყო, რამდენიმე წლიწადში უცხოეთის ყველა ფირმა ჩანთქა და საავტომობილო მრეწველობის ყველაზე მსხვილი საწარმო გახდა. აქ მას ოცზე მეტი ქარხანა აქვს, რომლებშიც 40 ათასამდე მუშაა. ეს ქარხნები წელიწადში 160 ათას მანქანას უშვებენ.

მაგრამ ნუ გადავუხვევთ, დავუბრუნდეთ სიდნეის ქუჩებს. აქ ადამიანთა უდიდესი ნაკადია. კოლორიტულია ინგლისის, ამერიკის, ევროპის ნარევი — სხვადასხვა ენები, ტანსაცმელი, ზნე-ჩვეულება. მაგრამ ეს თეთრკანიანთა ნაკადია. იქ მკვიდრი ავსტრალიური, როგორც ამბობენ, შავი ყოფის თითქმის ვერავითარ ნიშანს ვერ ნახავთ. ქალაქის ცენტრშია ძალიან დიდი ჰაიდ-პარკი ყვავილებითა და ძეგლებით. ლონდონის ჰაიდ-პარკისაგან იგი მეტისმეტი „ცივილიზაციით" განსხვავდება, აქ ცხვრებს არ უშვებენ. კვირადღეებში ეს მიტინგებისა და კრებების მთავარი ადგილია. აქ ყოველი ადამიანი, რომელიც რკინის კასრზე შედგება, ორატორია.

მეტად დაგვაინტერესა ერთმა დარბაისელმა კაცმა, რომელიც კასრზე მთლად მტკიცედ როდი გრძნობდა თავს, მაგრამ მისი ხმა მთელ პარკს სწვდებოდა. ორასიოდე კაცი მოწყენილი სახით უსმენდა. ჩვენს კითხვაზე, თუ რაზე ლაპარაკობდა ორატორი, გვიპასუხეს, რომ იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მსოფლიოში საუკეთესო მატყლი ახალი სამხრეთ უელსის შტატის ცხვრის მატყლია, და რომ მეცნიერთა ყველა ცდა — გააუმჯობესონ ცხვრის ეს ჯიში — მხოლოდ ზიანს მიაყენებს ახალი სამხრეთი უელსის შტატს, რომლის დედაქალაქიც მშვენიერი ქალაქი სიდნეი არისო. ჩვენ დავა არ გავუმართეთ — მან უკეთ იცის.

ჰაიდ-პარკიდან სიდნეის ყურესაკენ მიემართება მაკვარი-სტრიტი, რომელსაც ასე უწოდეს გასული საუკუნის ინგლისელი გუბერნატორის მაკვარის პატივსაცემად. ეს ქუჩა მიდის სიდნეის ნავსადგურისაკენ, ეს ავსტრალიის ყველაზე დიდი ნავსადგურია, რომლის ნავმისადგომების სიგრძე თითქმის 25 კილომეტრია. აქ საოკეანო გემებს იღებენ. სიდნეის ნავსადგურიდან გააქვთ მთელი იმ მატყლის ნახევარი, რომელსაც ავსტრალია ყიდის, და უამრავი სხვა საქონელი.

სანაპიროზე ნახავთ კანტორებისა და საწყობების ძველებურ, რამდენიმესართულიან შენობებს, მაგრამ ისინი სულ უფრო ნაკლები ხდება — იზრდება ბეტონის, მინისა და ფოლადის ახალი კოლოფები — ინგლისური და ამერიკული ფირმების რეზიდენციები. ინგლისის მეფეების, პრემიერ-მინისტრების, გუბერნატორების, საგრაფოებისა და ქალაქების პატივსაცემად სახელდებული ქუჩების მორევში დგანან კოლონოებსა და გრანიტის ზეძირკვლებზე დაყრდნობილი ბასტიონები ავსტრალიის ახლანდელი ბატონ-პატრონებისა. საითაც უნდა წახვიდეთ, ყველგან დაგხვდებათ რეკლამა — მნათი, ფერადი, რუხი... იგი ხტის, გარწმუნებს... რეკლამას უწევენ ყველაფერს, კბილის ჯაგრისით დაწყებული და საოკეანო გემით დამთავრებული.

მაგრამ აი ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე — „ჯორჯ სტრიტზე" უზარმაზარი ფარები აუწყებენ სიდნეელებს ქართული ცეკვის სახელგანთქმული ანსამბლის ჩასვლას.

ქართველ მოცეკვავეთა სამოცი ფიგურის გამოხატულება, რომლებიც მთელი ტანის სიმაღლეზე გამოუჭრიათ, ამშვენებს საქმიანი ცენტრის მთავარ ქუჩას. ეს თითქოს ცოცხალი გალერეა მიიმართება ოპერის შენობისაკენ, რომლის აგება ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

ჩვენ ვნახეთ მხოლოდ სამშენებლო მოედანი სიდნეის ყურეს ნაპირზე, რომელიც გათვალისწინებულია აბსტრაქტული არქიტექტურის ამ სასწაულისათვის, და შენობის მაკეტი. იგი მოგვაგონებს თეფშს, რომელშიც უწესრიგოდ ჩაუყრიათ ოციოდე კვერცხის ნახევარნახევარი ნაჭუჭი. რამდენიმე ნახევარი ერთმანეთზეა ჩამოგებული და ქმნის რაღაც მარაოს მსგავსს, სხვები ზემოთ აშვერილა, ზოგი კი გადაბრუნებულა და ცარიელი ჩანს. მიაჩნიათ, რომ როცა ეს უნიკალური შენობა აიგება, მსოფლიო განცვიფრდება და სიდნეის უმაგალითო რაოდენობით მიაწყდებიან ტურისტები. ეს მომავალში. ახლა კი ჩვენი ანსამბლი გამოდის მისი უდიდებულესობის დედოფლის თეატრ „მაჟესტისში".

კონცერტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე თეატრის სალაროებთან დიდი გამოცოცხლებაა. ყველა ბილეთი დიდი ხანია გაყიდულია, მაგრამ კონცერტზე დასწრების მსურველნი არ იშლებიან. ასობით ადამიანი ელის, რომ ბილეთები გაიყიდება დამატებულ ადგილებზე.

ჯადოქარმა მოცეკვავეებმა, როგორც ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ლონდონში უწოდებდნენ, აქ, ავსტრალიაშიც მოინადირეს მაყურებლები თავიანთი ცეკვით. „მხედრულის", „ფარიკაობის", „სამაიას" დამთავრებისას ყოველთვის გაისმოდა მქუხარე ტაში, „ბრავოს", „მეგობრობის" ძახილი, სტვენა, ფეხების ბრახუნი. ყოველი ცეკვის გამეორება რამდენჯერმე უხდებოდათ... მაგრამ როცა „შეჯიბრება" იწყებოდა, ტაში, შეძახილები, ხმაური საერთო გუგუნად ერთიანდებოდა. მაყურებელთა დარბაზი ბობოქრობდა, ქართველ მოცეკვავეებს ყვავილების თაიგულებს ესროდნენ.

სიდნეის გაზეთები: „დეილი ტელეგრაფი", „სიდნეი მორნინგ ჰერალდი", „დეილი მირორი" და სხვ. — აღტაცებულ რეცენზიებს ათავსებენ საქართველოს ხალხური ცეკვის ოსტატთა კონცერტებზე.

სიდნეიში ოცდათერთმეტი კონცერტი რომ გამართა, ანსამბლი სამხრეთი უელსის დედაქალაქიდან გაემგზავრა ბრისბენში — კვინსლენდის შტატის დედაქალაქში. აქ ათი კონცერტი უნდა გავმართოთ.

მაგრამ ამ ათიდან უკვე პირველი კონცერტი იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ქართველ მოცეკვავეებს უდიდესი წარმატება ექნებათ ავსტრალიის ჩრდილოეთ შტატში — კვინსლენდში. წინ არის ქალაქები მელბურნი, ადელაიდე, პერტი. ახალი ზელანდია — ველინგტონი, ოკლენდი. ინდოჩინეთი, ჰონკონგი და სინგაპური. და სავსებით უეჭველია — ქართველ მოცეკვავეთა კოლექტივი, იმ ერთიანი სურვილით აღფრთოვანებული, რომ მეგობარ ქვეყნებს აჩვენოს საბჭოების ქვეყნის ხელოვნება, ღირსეულად ატარებს საბჭოთა ხელოვნების დროშას ყველგან, სადაც კი მას მიიწვევენ.

გიორგი ასათიანი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.
სიდნეი-ბრისბენი.
ივლისი 1963 წ.

სურათზე: საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის წევრები ავსტრალიაში, სიდნეის მახლობლად.
ფოტო ავტორის.

ფოთი. ნავსადგური. აქ ადამიანები თავიანთი სასახელო, მამაცური შრომით ადიდებენ სამშობლოს, იბრძვიან თავიანთ მეტად დიდმნიშვნელოვან უბანზე საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. სამშობლოც უფასებს მათ ერთგულებასა და თავდადებას, ზრუნავს მათი კეთილდღეობისათვის. აი ამ სურათზე თეთრი ყვავილების თაიგულივით ბავშვები რომ მოჩანან, ამ ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეთა შვილები არიან. საბავშვო ბაღის აღმზრდელს ეს ცოცხალი თაიგული მიჰყავს სასეირნოდ ბუნების ლაღ, ლამაზ წიაღში, ზღვის პირას, სადაც თვით ამ ბავშვებივით ჰყვავის და იფურჩქნება ბაღადქცეული არემარე.

ფოტო ს. კილაძისა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მობრძანდით, დაისვენეთ ჯავაში!

ტყეები, ნაძვნარით, მუხნარით დაფარული ფერდობები და მთები, ბობოქარი ლიახვი, მინერალური წყალი — ძაუ მრავალ დამსვენებელს იზიდავს ჯავაში. რომელი მხრიდან და რომელი პროფესიის ადამიანს არ შეხვდებით აქ სამკურნალოდ ჩამოსულს. მოდიან მეშახტეები, რკინიგზელები, დაზგის მუშები ურალიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან... მოდიან, რათა დაისვენონ, ენერგია აღიდგინონ, იმკურნალონ და შემდეგ ახალი ძალით შეუდგნენ შრომას.

კურორტი ყოველწლიურად ფართოვდება: ემატება სანატორიუმები, სამკურნალო დაწესებულებანი, დამხმარე მეურნეობები. ხმაურიანი და ცოცხალია ზაფხულის დღეები ჯავაში. ჯანსაღი მთის ჰაერზე გამოსულან დამსვენებლები. ზოგი მათგანი დაბურულ ნაძვნარში ატარებს დროს, ზოგს კი ლიახვისათვის მიუშურებია, რომ მთის მდინარის სიგრილე იგემოს. წელს აქ პირველი ივნისიდან გაიხსნა სეზონი. სანატორიუმები აივსო ხალხით. მათ საუკეთესოდ ემსახურებიან.

მობრძანდით, დაისვენეთ ჯავაში! — ეპატიჟებიან სტუმრებს კურორტის კეთილმოწყობილი სამკურნალო დაწესებულებები, თითქოს თვით მთებიც სტუმართმოყვრულად ეგებებიან მათ.

ი. თედიაშვილი,
საკ. კორ.

„რუსული სასწაული" საქართველოს ეკრანებზე გამოდის

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი კინემატოგრაფისტების ანელი და ანდრე ტორნდაიკების დოკუმენტურ კინოეპოპეას „რუსულ სასწაულს" საქართველოში დიდი მოუთმენლობით ელიან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების მთავარი სამმართველოს უფროსმა ს. ხონელიძემ საქდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— როგორც ცნობილია გორკის სახელობის კინოსტუდიის კოლექტივმა გერმანელ კინოოსტატებთან ანელი და ანდრე ტორნდაიკებთან თანამეგობრობით დაამთავრა „რუსული სასწაულის" დუბლირება რუსულ ენაზე. ჩვენი რესპუბლიკისათვის გამოყოფილია 20 ეგზემპლარი.

„რუსული სასწაულის" პრემიერა გაიმართება 1 აგვისტოს თბილისის რუსთაველის სახელობის კინოთეატრში. „ამირანსა" და „ოქტომბერში". (საქდესი).

ამას წინათ დასასვენებელ სახლ „ოქროს სანაპიროში" (გუდაუთის მახლობლად) გაიხსნა მეგობრობის საერთაშორისო ბანაკი. აქ უკვე ჩამოვიდა დამსვენებელთა პირველი ჯგუფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. წელს მეგობრობის საერთაშორისო ბანაკში დაისვენებს სულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1.200 მოქალაქე.

• • •



სურათზე: სტუმრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან დასასვენებელ სახლ „ოქროს სანაპიროში".

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტო ქრონიკა).

ერთი სოფლის ისტორიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩხერე. (საკ. კორ.). 45 წელი შესრულდა საჩხერის [illegible] შეიარაღებული აჯანყებისა, [illegible] 1918 წლის ზაფხულში [illegible] მენშევიკური ჯარისკაცთა [illegible] ბით.

ამ თარიღის აღსანიშნავად აქ გაიმართა საზეიმო სხდომა. საჩხერელ გლეხთა შეიარაღებული აჯანყების 45 წლისთავის შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს კომპარტიის საჩხერის საწარმოო პარტიული კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ინსტრუქტორმა ა. ლომიძემ.

წარსულ სახელოვან ბრძოლათა შესახებ საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები, აჯანყების მონაწილენი ი. ცარციძე, გ. კილაძე, ი. ხვედელიძე.

დასასრულ კულტურის სახლის დრამატულმა კოლექტივმა საზეიმო სხდომის მონაწილეებს უჩვენა პრემიერა.

სამეცნიერო ექსპედიციები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი თეორიული და ლაბორატორიული გამოკვლევების გარდა გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში ყოველწლიურად აწყობს დიდი მოცულობისა და მნიშვნელობის საექსპედიციო სამუშაოებს. ამ დროს ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები დროებით ტოვებენ თავიანთ ლაბორატორიებს, სამუშაო კაბინეტებს და უშუალოდ ველზე ეწევიან გეოფიზიკურ დაკვირვებას.

აი სწორედ ამ სამუშაოებზე გვინდა მოგითხროთ ამ წერილში.

კავკასიის მაგნიტური ექსპედიცია, რომელიც ამჟამად ველზე იმყოფება, კავკასიის ტერიტორიის სხვადასხვა პუნქტში იკვლევს დედამიწის მაგნიტური ველის საუკუნეობრივ ვარიაციებს. როგორც ცნობილია, დედამიწის მაგნიტური ველი დროსა და სივრცეში განიცდის ცვალებადობას გარკვეული კანონზომიერებით, მაგრამ ზოგჯერ ადგილობრივი მიზეზების გამო ეს კანონზომიერება ირღვევა. არსებობს მოსაზრებები, რომ დედამიწის მაგნიტური ველის საუკუნეობრივი ვარიაციების ნორმალური მსვლელობის დარღვევა დაკავშირებული უნდა იყოს დედამიწის შიგნით მომხდარ ცვლილებებთან. ამიტომ დედამიწის მაგნიტური ველის საუკუნეობრივი ვარიაციების არანორმალური მსვლელობის გამოვლინება საშუალებას მოგვცემს ჩავიხედოთ ჩვენი პლანეტის სიღრმეში და გავარკვიოთ მასში მიმდინარე პროცესები. ინსტიტუტი უკვე რამდენიმე წელია აწარმოებს გამოკვლევებს ამ მიმართულებით. დაკვირვებებისათვის წინასწარ შერჩეულ რამდენიმე ათეულ პუნქტში ყოველწლიურად წარმოებს მაგნიტური ველის საუკუნეობრივი ვარიაციების გამოკვლევა. ექსპედიციას ხელმძღვანელობს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. მ. ნოდია, საველე სამუშაოებს — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები ნ. კაციაშვილი და ვ. მაცაბერიძე.

საინტერესოა კახეთის ელექტრომეტრიული ექსპედიციის მუშაობაც, რომელსაც ხელმძღვანელობს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბუხნიკაშვილი. ექსპედიცია მუშაობს კავკასიონის სამხრეთის ფერდობზე, კახეთის ტერიტორიის ფარგლებში. გეოლოგიური მონაცემებით ცნობილია, რომ ამ ადგილებში არსებობს გამადნების ზონები, მაგრამ ჯერ საბოლოოდ არ არის გარკვეული, ყველა მათთან დაკავშირებულია თუ არა სამრეწველო მნიშვნელობის მადანი. ექსპედიციის მიზანს შეადგენს ამ ზონებში შეისწავლოს ეგრეთწოდებული ბუნებრივი ელექტრული ველების წარმოშობის მიზეზები და გამოავლინოს გამადნებული უბნები, რაც დიდად შეუწყობს ხელს დეტალური გეოლოგიური საძიებო სამუშაოების შესრულებას. ექსპედიციის მიერ მოპოვებულ ფაქტიურ მასალას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

ამ დაკვირვებათა მასალის დამუშავება და ანალიზი საშუალებას მისცემს მეცნიერებს გაარკვიონ ის ფიზიკური და ქიმიური პროცესები, რომლებიც წარმოქმნიან ელექტრულ ველებს.

უკვე რამდენიმე წელია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მუშაობს ინსტიტუტის ელექტრომეტრიული ექსპედიცია, რომლის მიზანს შეადგენს დედამიწის ქერქის ზედა ნაწილის აგებულების შესწავლის ახალი მეთოდების დამუშავება ბუნებრივი ელექტრომაგნიტური ველების გამოყენებით.

რა ხდება ჩვენი პლანეტის სიღრმეში?

— ჩვენი პლანეტის წიაღში არსებობს ეგრეთწოდებული რეგიონალური ელექტროდენები, — გვიხსნის ექსპედიციის ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ქებულაძე — გარდა ამისა, როგორც ცნობილია, არსებობს აგრეთვე დედამიწის მაგნიტური ველი. ამიტომ თუ ჩვენ ერთ და იმავე დროს შევისწავლით დედამიწის მაგნიტური ველისა და რეგიონალური ელექტრული დენების ცვალებადობის ხასიათს სხვადასხვა ადგილზე, შეგვიძლია გარკვეული ცნობები მივიღოთ დედამიწის ქერქის ზედა ნაწილის აგებულებაზე, შევადგინოთ ე. წ. გეოელექტრული ჭრილები 10-15 კილომეტრ სიღრმემდე და გავიგოთ, რა გეოლოგიურ წარმონაქმნებთან გვაქვს საქმე. ასეთი სამუშაოები ინსტიტუტმა ქართლის ველზე გასწია. დამუშავდა მეთოდი, რომელიც დამყარებულია დედამიწის ელექტრო-მაგნიტური ველის საშუალო და გრძელპერიოდიანი ვარიაციების გამოყენებაზე და დასაბუთდა ამ მეთოდის ეფექტურობა.

დედამიწის ქერქის ზედა ნაწილის შესწავლას, როგორც ცნობილია, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან ის წარმოდგენას გვაძლევს სასარგებლო ნამარხთა განაწილების კანონზომიერებაზე. მიმდინარე წელს ექსპედიცია მუშაობას განაგრძობს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

გრავიმეტრიული ექსპედიცია, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებს საველე სამუშაოებს, ძირითადად ამთავრებს კავკასიის ტერიტორიაზე დედამიწის ქერქის აგებულების შესწავლას. ექსპედიციის მუშაობის შედეგად მიღებულია მონაცემები კავკასიაში გრავიტაციული ველისა და ქანების სიმკვრივეთა ცვალებადობის შესახებ. ცნობილია, რომ დედამიწის სიმძიმის ძალა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაა. ამ ცვალებადობის მიზეზია თვით დედამიწის ქერქის შემადგენელი ქანების სიმკვრივეთა ცვალებადობა ჰორიზონტული მიმართულებით.

ექსპედიციის ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. ბალავაძე გვაცნობს ამ მუშაობის ზოგიერთ ძირითად შედეგს, კერძოდ, სიმძიმის ძალის ანომალიის მიხედვით გაანგარიშებულ დედამიწის ქერქის აგებულებას კავკასიაში. ეს მეტად საინტერესო შედეგია, რომელიც დადასტურებულია სხვა გეოფიზიკური მონაცემებითაც. საგულისხმოა, რომ დედამიწის ზედაპირზე გაზომილი სიმძიმის ძალის ანომალია საშუალებას აძლევს მეცნიერებს ჩაიხედონ დედამიწის წიაღის რამდენიმე ათეული კილომეტრის სიღრმეში. ეს სიღრმეები ჯერ ბურღვისათვის სრულიად მიუღწეველია და აქ მხოლოდ გეოფიზიკური მეთოდებით თუ შეიძლება დაზვერვა.

— ამგვარად, სიმძიმის ძალის ცვალებადობის ხასიათის ანალიზი, — გვიხსნის პროფესორი, — ხელს უწყობს დედამიწის ქერქის აგებულების გარკვევას, აგრეთვე შუქს ჰფენს იმ საკითხს, თუ როგორ წარმოიშვა თვით ქერქი ან რა ხასიათის მოძრაობას განიცდიდა იგი თავისი განვითარების მანძილზე.

გამოკვლევების შედეგები გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიების, აგრეთვე საერთაშორისო გეოფიზიკური ორგანიზაციების გამოცემებში.

ექსპედიციის მიზანია აგრეთვე მთელ რიგ სპეციალურად შერჩეულ პუნქტებში მოახდინოს სიმძიმის ძალის სიდიდის გაზომვები, მაღალი სიზუსტით შეისწავლოს დედამიწის ქერქის ვერტიკალური მოძრაობის ხასიათი და ამ გზით შეიმუშაოს, კერძოდ, ზღვის შემოტევებთან ბრძოლის ეფექტური მეთოდები.

მიმდინარე წელს გრავიმეტრიული ექსპედიცია დაკვირვებებს მოახდენს კავკასიონის ირგვლივ და მის გადაკვეთებზე.

ყველა ამ სამეცნიერო ექსპედიციის მიზანია წიაღისეული სიმდიდრის გამოვლინება, ჩვენი პლანეტის გეოლოგიური აგებულების შესწავლა.

ლ. ხუბულური.

სპორტული აგვისტო

აგვისტო სპორტული ზაფხულის კულმინაციაა. რამდენიმე თვის მანძილზე მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა კოლექტივების, ქალაქების, ოლქებისა და რესპუბლიკების სპარტაკიადები. და აი ახლა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ათლეტები ჩამოდიან მოსკოვში, რათა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში შეერკინონ ერთმანეთს.

III სპარტაკიადა ოფიციალურად გაიხსნება ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შაბათს, 10 აგვისტოს, 12 საათზე. მაყურებელთა ასიათასიანი აუდიტორიის წინ საზეიმო პარადით გაივლიან მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენთა კოლონები, შემდეგ მოეწყობა მასობრივი საჩვენებელი გამოსვლები, სხვადასხვა შეჯიბრება და, ბოლოს, ფინალური მატჩი საბჭოთა კავშირის თასზე ფეხბურთში.

სპორტის ზოგიერთ სახეობაში სპარტაკიადის შეჯიბრებები დაიწყება ჯერ კიდევ მის ოფიციალურ გახსნამდე.

სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობას მიიღებენ თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. დებულების თანახმად თვითეული დელეგაციის შემადგენლობაში შედის 420 სპორტსმენი და მწვრთნელი (დელეგაციების ხელმძღვანელების, ექიმების, ტექნიკური პერსონალის ჩაუთვლელად). III სპარტაკიადის მონაწილეთა დიდ უმრავლესობას სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები შეადგენენ.

სპარტაკიადაზე სულ მოეწყობა 23 პირველობა სპორტის სახეებში. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი შევლენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში, როგორც 1964 წლის ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეობის კანდიდატები.

როგორც ვხედავთ, აგვისტოში ძალიან ბევრი სრულიად საკავშირო შეჯიბრება იქნება. მაგრამ საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ზოგიერთ საერთაშორისო შეჯიბრებაშიც.

15-დან 18 აგვისტომდე კოპენჰაგენში გაიმართება ევროპის პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში მამაკაცთა შორის. ახლა ვერაფერს ვიტყვით საბჭოთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობაზე. ჩემპიონატისათვის მოსამზადებლად სსრ კავშირის ნიჩბოსნებმა სტარტი აიღეს რამდენიმე დიდ შეჯიბრებაში და, კერძოდ, დუისბურგისა და ლუცერნის საერთაშორისო რეგატებში. ამ გენერალურმა რეპეტიციებმა ცხადყო, რომ ჩვენი ნიჩბოსნები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან მომზადებულნი ევროპის პირველობისათვის.

23-დან 25 აგვისტომდე იუგოსლავიაში გაიმართება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ბაიდარსა და კანოეზე ნიჩბოსნობაში. საბჭოთა გუნდი იქ წარმოდგენილი იქნება პროგრამის ყველა ნომერში. ქალებს შორის ყველაზე მეტი იმედის დამყარება შეიძლება მარიამ შუბინას, ლიუდმილა ხვედოსიუკსა და ანტონინა სერედინაზე.

მამაკაცთა შორის კანოეზე ნიჩბოსნობაში, როგორც ყოველთვის, საუკეთესოდ გამოდიან ოლიმპიური შეჯიბრების ჩემპიონები ლეონიდე გეიშტორი და სერგი მაკარენკო. ბაიდარზე ნიჩბოსნობაში ფავორიტები არიან იბრაჰიმ ჰასანოვი, ნიკოლოზ ჩუჟიკოვი და ანატოლი გრიშინი. ევროპის ჩემპიონი ალექსი ხიმიჩიც მზად არის გამარჯვებისათვის

აგვისტოს დამდეგს ბელგიაში მოეწყობა მსოფლიოს პირველობა ველოსპორტში. ერთმანეთს შეეჯიბრებიან ქალები და მამაკაცები გზატკეცილსა და ტრეკზე რბოლაში. ახლა ძალიან ძნელია მარჩიელობა საბჭოთა ველოსიპედისტების პერსპექტივებზე. ყოველ შემთხვევაში ამ სეზონში ისინი ძალიან ბეჯითად ემზადებოდნენ. გზატკეცილზე შეჯიბრების მონაწილეები მაისში გამოდიოდნენ მშვიდობის ველორბოლაში, ხოლო შემდეგ— ივლისში დებიუტი ჰქონდათ „ტურ დე ლ' ავენირში" მართალია, საფრანგეთში მათ ვერ დაიკავეს პირველი ადგილები, რადგან წააგეს შეჯიბრება მთიან ეტაპებზე. სამაგიეროდ ვაკეზე საბჭოთა ველომრბოლელები საუკეთესოდ მიდიოდნენ. ბელგიაში, როგორც ცნობილია, მაღალმთიანი ეტაპები არ არის, ამიტომ სსრ კავშირის სპორტსმენებს არ შეეშინდებათ „ჟანგბადის შიმშილობისა", რაც ძლიერ ტანჯავდა მათ პირენეებსა და ალპებში.

რაც შეეხება ტრეკის საბჭოთა ველომრბოლელებს, მსოფლიო ჩემპიონატისათვის ისინი კიდევ უფრო ინტენსიურად ემზადებოდნენ. ზაფხულის დამდეგს მათ შეხვედრები ჰქონდათ პოლონეთის, უნგრეთისა და რუმინეთის ველოსიპედისტებთან. შემდეგ მიიღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. დასასრულ დიდი ტურნე ჰქონდათ ჰოლანდიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში.

სპრინტში ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონის, ახალგაზრდა რიგელის იმანტ ბორდნიექსის წარმატების იმედი უნდა გვქონდეს. საუკეთესო შედეგები გვიჩვენა უკანასკნელ შეჯიბრებაში 18 წლის თბილისელმა ომარ ფხაკაძემ. ამ ნიჭიერმა ახალგაზრდამ ახლანდელ სეზონში ერთხელ უკვე დაამარცხა სპრინტში ბორდნიექსი.

25 აგვისტოს ჰავანაში დაიწყება ხოზე რაულ კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. საბჭოთა კავშირიდან ამ ტურნირში მონაწილეობა უნდა მიიღოს სამმა მოჭადრაკემ.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა ფეხბურთზე. 3 აგვისტოს გაიმართება სამი მეოთხედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე. ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (მოსკოვი); „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „კაირატი" (ალმა-ატა); „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (ლენინგრადი). როგორც ცნობილია, ნახევარფინალების ერთი მონაწილე უკვე გამოირკვა — „შახტიორი" (დონეცკი). ნახევარფინალური მატჩები 6 აგვისტოს გაიმართება. ფინალი, როგორც აღვნიშნეთ, გათამაშდება მოსკოვში 10 აგვისტოს. აგვისტოს განმავლობაში გაგრძელდება თამაშები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. შედგება რამდენიმე საერთაშორისო მატჩი. კერძოდ, 1 აგვისტოს ჰელსინკში სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები მეორე შესარჩევ მატჩში შეხვდება ფინეთის ნაკრებს.

სააგენტო „ახალი ამბები".

სპარტაკიადა ტემპს უმატებს

სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე სულ უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება შეხვედრები. ასპარეზობაში ებმებიან სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენელნი. სპარტაკიადის მეკვლეები — მსროლელები მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში 50 მეტრზე (3×40) ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას როგორც დგომელა, წოლელა, ჩოქელა მდგომარეობაში, ისე ამ სამივე მდგომარეობის ჯამში.

იმის შემდეგ, რაც წოლელა მდგომარეობიდან სროლაში გამარჯვებულმა ნ. ნიაზოვმა (თურქმენეთი) და ჩოქელა მდგომარეობიდან გამარჯვებულმა მ. იტკისმა (ლენინგრადი) მსოფლიო რეკორდები დაამყარეს, აღსანიშნავია საქართველოს გუნდის წევრების ა. სტროევისა და შ. ქველიაშვილის წარმატება. ჩოქელა მდგომარეობიდან სროლაში მათ შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ერთნაირი შედეგით 391 და მსოფლიოს რეკორდი გაიმეორეს. ამავე დისტანციაზე დგომელა მდგომარეობიდან სროლაში სპარტაკიადის ჩემპიონი ბელორუსიის წარმომადგენელი ზ. იაროში გახდა.

სამი მდგომარეობის ჯამში პირველობა ზ. იაროშმა დაისაკუთრა (1155), მეორე ადგილი ხვდა მოსკოველ ვ. ბორისოვს. ტყვიის სროლაში საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოსკოვის გუნდმა მოიპოვა, მეორე — რსფსრ-ს, მესამე — უკრაინის მსროლელებმა. საქართველოს მსროლელებმა მეექვსე ადგილი დაიკავეს. საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა „გაქცეულ ირემზე" ტყვიით სროლაში ა. ზაკურნიოვი (რსფსრ) მისი შედეგია 239 ორმოცდაათი გასროლიდან. გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი რუსეთის ფედერაციის მსროლელები გახდნენ — 919 ქულა.

გუშინ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ასპარეზობაში ჩაებნენ სატენდო მსროლელები, ძალოსნები, ნიჩბოსნები (ბაიდერი, კანოე).

სპორტული ქრონიკა

☐ **დონის როსტოვში** გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი სკა და ჩეხოსლოვაკიის გუნდი „ტატრანი". ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1.

☐ **გდანსკში** გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. საბჭოთა დაშნით მოფარიკავეებმა გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავეს. ოქროს მედლები პოლონეთის გუნდმა მოიპოვა, ვერცხლისა — საფრანგეთმა.

შუა დისტანციაზე

„ბ" კლასის გუნდების ასპარეზობა

დამთავრდა პირველი წრის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I და II ზონებში. ორივე ზონაში ტურნირებს დამაჯერებლად ლიდერობენ საქართველოს გუნდები. პირველ ზონაში, სადაც საქართველოს სამი გუნდი თამაშობს, გათამაშების ლიდერია ბათუმის „დინამო". პირველი წრის უკანასკნელი ტურის შეხვედრა ბათუმელებმა ფრედ 1:1 დაამთავრეს ვიტებსკის „დვინასთან" და 22 ქულით პირველ ადგილზე არიან. მეორე ადგილზე 21 ქულით არის რუსთავის „მეტალურგი", რომელმაც ანგარიშით 2:0 დაამარცხა მინსკის არმიელთა კოლექტივი. სოხუმის „დ-ნ-მოს" აქვს 18 ქულა.

II ზონის გუნდებს შორის პირველ ადგილზე 23 ქულით თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები არიან. ამდენივე ქულა აქვს ფოთის „კოლხიდას", მაგრამ ფოთელებს ერთი თამაშით მეტი აქვთ. მეორე წრის პირველ ტურში „კოლხიდამ" თავის მოედანზე ანგარიშით 4:1 დაამარცხა ჩიმკენტის „მეტალურგი" და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

გალიას თასზე

ავსტრიის ქალაქ კრემსში მიმდინარეობს ზონალური ტურნირი ჩოგბურთში გალიას თასზე. პირველ შეხვედრაში საბჭოთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდი შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებს. ა. მეტრეველმა დაამარცხა გორშალკა (6:1, 6:4). ნ. მძინარიშვილმა წააგო პლეტცთან (4:6, 5:7). გადამწყვეტ მესამე შეხვედრაში ა. მეტრეველი - ნ. მძინარიშვილის წყვილმა ორი პარტია მოუგო ნიტშე-პლეტცის წყვილს (6:1, 6:4). მესამე პარტია გადაიდო ჩამოწოლილი სიბნელის გამო.

ფეხბურთია, ფეხბურთი!..

— ოთარ გიორგიევიჩ! იმარჯვე, ხალხი მოზღვავდა!

— გავუძლებთ! დავაკმაყოფილებთ! —უპასუხა თანამოსაუბრემ.

— ასი ბილეთი გექნება?

— ორასი იყოს, მხოლოდ ერთი პირობით; ანგარიშში არ გამაცურო, — შენიშნა ოთარ გიორგის-ძე ლალაშვილმა და თან მაგიდის უჯრა გამოსწია, ფეხბურთის ბილეთები კონა-კონად დაუწყო წინ.

არამ რუბენის-ძე კირაკოსიანმა არ დააყოვნა, ბილეთებს ხელი დასტაცა, კარი გამოაღო და კიბე ჩაირბინა...

— ნახევარ საათში კვლავ აქა ვარ!.. მომამზადე!.. ჩემმა მზემ, კაპიკში არ გაგცვლი!..

„დინამოს" სტადიონიდან მოშორებით არამი ახმიანდა:

— იჩქარეთ, ფეხბურთია, ბიჭებო, ფეხბურთი!..

— ეგ ვიცით. ბილეთი ხომ არა გაქვს ზედმეტი? — გაუბედა ახალგაზრდამ და თვალები მიაშტერა მოპირდაპირეს — „მხსნელს".

— რომელი იარუსი გინდა?

— დასავლეთ ტრიბუნა!

— აბა მალე ხუთი მანეთი გვიბოძე. ჰა, მალე!

ხალხიდან ვიღაცამ შესძახა:

— ხუჭუჭა, მომაწოდე! (ხუჭუჭას ეძახიან ა. კირაკოსიანს ზედმეტ სახელად).

— ორი გინდა? — ჰკითხა.

— ოთხი!

— ოქრო ხარ, ოქრო! — თან თხუთმეტი მანეთი ჩაუჯიბა ჯუჯა კაცმა.

ა. კირაკოსიანმა უბე ფულით აივსო: ძუნძულით გაიქცა ლალაშვილისაკენ.

— ოთარ გიორგიჩ! ათით ნოლია ჩვენს სასარგებლოდ, დოყლაპია გულშემატკივრების საზიანოდ! — მიაძახა შორიდან.

მეორე „გამსვლელი მოლარე" ალბერტ სარქისიანი პურის მოედანზე ტრიალებდა.

— შენი ბიძა ვარ, ბიჭო, შენი. კარგი ადგილის ბილეთი მაინც მომეცი, ფასზე უკან არ დავიხევ! — უთხრა მას ა. სარქისიანმა.

მორიგდნენ, თუმცა სიყალბე ბილეთისა ა. სარქისიანისთვის ცნობილი იყო...

უქნარა, მუქთახორა ოთარ ლალაშვილის მიერ ჩერნიშევსკის ქუჩა № 6 სახლში მოწყობილი „ხელოვნური სტამბა" ბეჭდავდა და ბეჭდავდა სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა სერიის ფეხბურთის ყალბ ბილეთებს...

როდესაც შევეკითხეთ არამ კირაკოსიანს, რას იტყვი, შენი მოქმედება მცდარია თუ არა, მან ღიმილით მოგვახალა:

— ოთხჯერ ვარ ციხეში ნაჯდომი, ბოლოს დასკვნა გავაკეთე: არავინ შევაწუხო, პირიქით, დავეხმარო... კაცს ფეხბურთის ნახვა უნდოდა, ხელი შევუწყე რა გავაკეთე ცუდი? — თქვა, თავი ჩაღუნა და ცალყბად შეხედა უფროს გამომძიებელს ვ. ქირიას.

ოთარ ლალაშვილი ცხარობდა:

— მხატვარი, გამრჯე კაცი ვარ, ჩემი ხელით სათამაშო სტამბა გავამზადე, ფეხბურთის ბილეთები ვითომ დავბეჭდე, სავაჭრო ქსელისათვის ცოტა ეთიკეტებიც გავამზადე... ბავშვურად გავითამაშე, — თავის მართლებით უთხრა მაიორ გ. ნადარეიშვილს.

როგორც წესი, ამჯერადაც დამნაშავეთა გზა მეტისმეტად მოკლე აღმოჩნდა.

დასრულდა ყალბისმქმნელთა „თამაში" ფეხბურთის ბილეთებით, დასრულდა პატიოსან გულშემატკივართა სასარგებლოდ, თაღლითების ჭკუის სასწავლებლად!

შ. ჩხატარაშვილი,
კ. სხვაბელი.

• • •



სურათებზე: ო. გ. ლალაშვილი და ა. რ. კირაკოსიანი (მარჯვნივ).

ფოტო ვ. ქირიასი.

ტელევიზია

28 ივლისი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 12.20 — მხატვრული ფილმი, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.55 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ჩვენი ჯანმრთელობის უნივერსიტეტი, 19.10 — კინოჟურნალი „ფიტილი" № 11, 19.20 — გადაცემა — „ანელი და ანდრე ტორნდაიკები", 20.10 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.30 — კონცერტი, 21.10 — მხატვრული ფილმი „ვაკანტური ადგილი".

29 ივლისს

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ალმანახი „ღირსშესანიშნავი თარიღები", 18.55 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ძალოსნობა", 19.25 — გადაცემა — „რსდმპ მეორე ყრილობის 60 წელი", 19.45 — კინონარკვევი, 20.25 — გადაცემა ციკლიდან — „ახალგაზრდა შემოქმედნი", 20.50 — მხატვრული ფილმი „მონეტა", 22.20 — ახალი ამბები.

კინო

26 ივლისი

ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, კოსმოსი, სპარტაკი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი** — კაენი XVIII. **ამირანი** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **დიდუბე** (საზამთრო) — თუ ამხანაგი მოგიხმობს, **რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზაფხულო), **ისანი** (საზაფხულო, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **გაზაფხული, ნაკადული, მზიური** — ხელშეუხებელი (I-II სერია),

რადიო

29 ივლისი

პირველი პროგრამით

06.40 — ს. ნასიძე. ბალადა ფორტეპიანოსათვის, 08.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 09.20 — შალვა მშველიძე. მესამე სიმფონია „სამგორი", 11.15 — კონცერტი ყარა ყარაევის ნაწარმოებებიდან, 12.10 — საუბარი — „იდეური იარაღი წმინდა უნდა იყოს", 12.25 — მხატვრული თვითმოქმედების და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 13.40 — რუსული ხალხური სიმღერები, 17.15 — ფრაგმენტები ს. ცინცაძის ბალეტ „დემონიდან", 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის — „სიმღერები პიონერულ კოცონთან", 18.10 — ანტონინა ნეჟდანოვას კონცერტი, 18.45 — „შენ გიმღერით, მშობლიურო ქალაქო", 19.30 — საუბარი — „ლენინური ინტერნაციონალიზმის დროშით", 20.15 — საბჭოთა კამერული მუსიკის კონცერტი. პროგრამაშია მიასკოვსკის, პროკოფიევისა და შაპორინის ნაწარმოებები, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.00 — ვერბიცკის მოთხრობა „ღამე ტემზაზე", 23.30 — გასართობი მუსიკა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საკავშირო კონკურსი

საუკეთესო სიმღერებისათვის შრომასა და მუშათა კლასზე

მოსკოვი, 26 ივლისი. (საქდესი). პროფკავშირთა მომავალ მეცამეტე ყრილობასთან დაკავშირებით საკავშირო პროფსაბჭომ გადაწყვიტა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირთან და სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან ერთად მოაწყოს კონკურსი საუკეთესო სიმღერებისათვის შრომასა და ჩვენი სამშობლოს მუშათა კლასზე.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ როგორც პროფესიული, ისე თვითმოქმედი კომპოზიტორები და პოეტები. კონკურსი ეწყობა ორ ტურად: პირველი ტური — მხარეებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში 20 ივლისიდან 20 სექტემბრამდე, მეორე ტური — მოსკოვში 20 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე. კონკურსზე ავტორები წარმოადგენენ ნაწარმოებებს, რომლებიც წინათ არსად არ გამოქვეყნებულა და არ შესრულებულა. ნაწარმოებები გამოიგზავნება ერთი ეგზემპლარად (კლავირი და პარტიტურა). ეროვნული პოეტების სიმღერებს უნდა ჰქონდეთ კლავირის ან პარტიტურის ქვეტექსტი პოეტური რუსული თარგმანით შესრულებული. ნაწარმოებებს, რომლებიც უმაღლეს შეფასებას მიიღებენ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში მეორე ტურზე წარადგენენ მხოლოდ პროფკავშირთა საბჭოები.

საუკეთესო სიმღერებისათვის გაიცემა ხუთი პრემია: ერთი პირველი პრემია 1.000 მანეთის ოდენობით, ორი მეორე — 700 მანეთისა, ორი მესამე — 500 მანეთის ოდენობით. გარდა ამისა, დაწესებულია ხუთი წამახალისებელი პრემია 200 მანეთის ოდენობით თითოეული.

ორთქლმავლის მემანქანის თავგანწირვა

ეს მოხდა 18 მაისს, შუაღამისას, სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზაზე. დეპოს მემანქანეს ნიკოლოზ ვედრინცევს და მის თანაშემწეს ს. კუდინოვს სამგზავრო მატარებელი მიჰყავდათ. უეცრად ორთქლმავლის პროჟექტორის სხივებში ს. კუდინოვმა თვალი მოჰკრა მიღრეცილ-მოღრეცილ ლიანდაგს და უმალვე დაუყვირა მემანქანეს: „დაამუხრუჭე!" ვედრინცევმა თვალის დახამხამებაში ჩართო მუხრუჭები. სამგზავრო შემადგენლობა გაჩერდა, მაგრამ ორთქლმავალი ინერციით მიადგა დანგრეულ ლიანდაგს და ფერდობზე გადავარდა. კომუნისტი მემანქანე ნ. კ. ვედრინცევი დაიღუპა, მაგრამ ხალხი სიკვდილს გადაარჩინა. მისი თანაშემწე ს. კუდინოვი მძიმედ დაშავდა.

რამ გააფუჭა რკინიგზა? ეს ჩაიდინა პანინის სანაშენე ქარხანა „ტოიდას" ტრაქტორისტმა ვ. კოჩეტოვმა. იგი მთვრალი მიუჯდა მისაბმელ გუთნიანი მძლავრი ტრაქტორის საჭეს და რკინიგზას გადაუარა. გუთნის სახნისმა დაანგრია ლიანდაგი. ხულიგანმა ტრაქტორისტმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიმალვა მოინდომა. მაგრამ დააკავეს.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა მემანქანე ვედრინცევის გმირული საქციელი და სიკვდილის შემდეგ „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვა. (საქდესი).

რედაქტორი
დ. მეძლიშვილი.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-08 8-08-67 პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხმ. მდივნისა — 8-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-53, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

ეე 01134